პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ხუთშაბათი
27
თებერვალი
№ 49
(16175)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

ხუთწლედი—ვადამდე!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ხალხური მხატვრული სარეწების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ხალხური მხატვრული სარეწების შესახებ“.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია, ნაოქმამი დადგენილებაში, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება მიაპყრო მატერიალური მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარების საკითხებს. ხალხური დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნება, რომელიც საბჭოთა სოციალისტური კულტურის განუყოფელი ნაწილია, აქტიურ გავლენას ახდენს მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაზე, ამდიდრებს პროფესიული ხელოვნებასა და სამრეწველო ესთეტიკის გამომსახველობითს საშუალებებს. ხალხურ ხელმარჯვე ოსტატთა შემოქმედება საყოველთაოდ არის აღიარებული ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, დიდი ესთეტიკური ღირსებებით გამოირჩევა ლაქის მინიატურა, ხის მოხატვა, მომინანქრება, მაქმანი, ძვლისა და ქვის ჩუქურთმა, კერამიკა, ჭედურობა, ქარვის სამკაულები, ხალიჩები და იმ სახელვანთქმული მხატვრული ცენტრების სხვა სახეობათა ნაწარმი, რომლებიც იცავენ ისტორიულად შექმნილ შემოქმედებითს პრინციპებსა და შრომითს ჩვეულებს. ამჟამად 200-ზე მეტი ტრადიციული ხალხური სარეწია, რომლებშიც ათიათასობით ოსტატია გაერთიანებული.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებმა, შრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა გააძლიერეს ყურადღება მხატვრული სარეწების განვითარებისადმი. ღონეიადაგ იზრდება მათი პროდუქციის გამოშვება, უმჯობესდება ნაწარმის ხარისხი. ამას ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება, მზარდი ინტერესი ხალხური ხელოვნებისადმი, მასობრივი ტურიზმი.

ამავე დროს, აღნიშნულია დადგენილებაში, ჩვენი ქვეყნის მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარება მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის მეტ ყურადღებასა და დახმარებას, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები, რომლებიც ითვალისწინებს ხალხური სარეწების მაღალხარისხოვანი ნაწარმის დამზადების არსებით გაფართოებას, აგრეთვე „ხალხური მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 14 აგვისტოს დადგენილება ნელა სრულდება. სარეწების მუშაკები, რომლებიც ზრუნავენ რაოდენობრივი ზრდისათვის, ყოველთვის ვერ ახერხებენ მასობრივი მოთხოვნის პროდუქციის მაღალ მხატვრულ დონეს. შემცირდა უნიკალურ ნაწარმოებთა შექმნა.

ხალხური სარეწების საწარმოებში მოგვარებული არ არის შემოქმედებითი პროცესის ორგანიზაციის მწყობრი სისტემა. ხშირად ჯეროვნად არ აფასებენ მხატვრის, ხალხური ოსტატის, როგორც ხალხური სარეწის ცენტრალური ფიგურის, როლს. მცირერიცხოვანია მხატვართა ჯგუფები, რომლთა ოსტატობა განსაზღვრავს პროდუქციის ხარისხობრივ ღირსებას; სათანადო ყურადღება არ ეთმობა ხალხურ ოსტატთა შემოქმედებითს საჭიროებებს. ბევრი საწარმოს სამხატვრო საბჭოები თავიანთ საქმიანობას შემოფარგლავენ ნიმუშების განხილვით, აკეთებენ კოლექციების შემოქმედებითი განვითარება, მათი ესთეტიკური თავისთავადობის დაცვა.

დაგეგმვის, მორალური და მატერიალური სტიმულირების, ფასწარმოქმნის პრაქტიკაში სუსტად ითვალისწინებენ სარეწებს თავისებურებებს: ხელის შემოქმედებითი შრომის გამოყენებას, ნაკეთობის შეზღუდულ ტირაჟებს, ბევრი ნაწარმოების უნიკალობას.

ხალხური სარეწებისათვის კადრების მომზადების არსებული სისტემა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სერიოზული ნაკლოვანებებია სასწავლებლების საქმიანობაში. საწარმოებში მხატვართა და ოსტატთა სწავლების ორგანიზაციაში, ინდივიდუალური შეკირდობის მოგვარებაში. ჯეროსნი თაობის ოსტატთა გამოცდილების გავრცელებაში. სათანადო ღონისძიებები არ ხორციელდება სამუშაოზე შემოქმედებითი ახალგაზრდობის შენარჩუნებისათვის. საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის. ხალხურ სარეწებს ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებასა და დახმარებას უწევენ სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოები. კულტურის ორგანოები, სამეცნიერო დაწესებულებები და შემოქმედებითი კავშირები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც ხალხური სარეწები აქვთ, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, შრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს ურჩია განიხილონ სარეწების მოგვმარეობის საკითხი. შეიმუშაონ მათი შემდგომი განვითარების, მრავალფეროვანი ნაწარმის გამოშვების გადიდების ღონისძიებები, ამასთან აუცილებლად აამაღლონ მათი идейური და მხატვრული დონე, ახალ ნაკეთობათა დამზადებისა და ტრადიციული ნიმუშების აღდგენის გზით გააფართოონ ასორტიმენტი, სარეწები გაათავისუფლონ არაპროფილური პროდუქციის გამოშვებისაგან, განამტკიცონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, ძირფესვიანად გაუმჯობესონ მშენებლობა.

წინადადება მიეცათ გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა საწარმოთა კოლექტივებში, გააუმჯობესონ შემოქმედებით მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, ამაღლონ მათი მომზადების დონე.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიას, სსრ კავშირის მხატვართა კავშირს, მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებთან, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების სამინისტროსთან, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან ერთად, რომლებსაც სარეწები აქვთ, დაევალათ განახორციელონ საწარმოში მხატვრისა და ხალხური ოსტატის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები, ამასთან გაითვალისწინონ: სრულფასოვანი შემოქმედებითი მუშაობის პირობების უზრუნველყოფა; ტრადიციული სარეწების ცენტრებში მხატვრული ოსტატობის სკოლების შექმნა, რომლებსაც საუკეთესო მხატვრები უხელმძღვანელებენ; სარეწების შემოქმედებითი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლება, კონფერენციების, სემინარების, კურსების რეგულარული მოწყობა; შინ მომუშავე ხალხური ოსტატებისადმი ყურადღების გაძლიერება. შეიმუშაონ დებულება საწარმოს მთავარი მხატვრისა და სამხატვრო საბჭოს შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონინონ პროდუქციის идейურ-ესთეტიკური დონისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს, საკავშირო პროფსაბჭოს დაინტერესებული სამინისტროებს მონაწილეობით განიხილონ მხატვრული სარეწების დაგეგმვის სისტემის შემდგომი სრულყოფის საკითხები, მაღალმხატვრულ და უნიკალურ ნაკეთობათა გამოშვებით საწარმოთა კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების, მათ შორის ნაწარმოებთა ავტორების, დაინტერესების ზრდის ღონისძიებები.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ 1976 წლიდან მხატვრული სარეწების პროდუქციის გამოშვების დაკალებები დადგინდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სახალხო-სამეურნეო გეგმაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებასა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ აღმოფხვრან ნაკლოვანებები მხატვრული სარეწების საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი ნედლეულისა და მასალების, მოწყობილობისა და ინსტრუმენტის, ფურნიტურისა და შესაფუთი საშუალებების გამოყოფა წარმოების გეგმის სრული შესაბამისობით. მოგვარდეს მასალების მიტანა შინ მომუშავე ოსტატებისათვის და მზა ნაწარმის მიღება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად გაუმჯობესონ კადრების მომზადება ხალხური სარეწებისათვის და განამტკიცონ სასწავლებლების მატერიალურ-საწარმოო ბაზა, გააფართოონ და სრულყონ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლთა სამხატვრო ფაკულტეტებზე უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება, განიხილონ წინადადებები მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა სისტემის საშუალო სპეციალურ სამხატვრო სასწავლებლებში სწავლების ვადების შეცვლის შესახებ.

სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა სისტემაში არის მხატვრული სარეწები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად უნდა გაითვალისწინონ, რომ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად თანამედროვეობად გარდაქმნან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და სკოლები, რომლებიც კადრებს უმზადებენ სარეწებს.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დაევალა საჭირო ღონისძიებები განახორციელოს ხალხური მხატვრული სარეწების ცენტრებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროფესიული ორიენტაციისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემია, რუსეთის სფსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო უზრუნველყოფენ, რომ ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტებმა და სპეციალურმა კათედრებმა შეიმუშაონ ტრადიციულ სახეობათა ხალხური დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარების აქტუალური პრობლემები.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს დაევალა გაუმჯობესოს ხალხური მხატვრული სარეწების ნაკეთობათა ვაჭრობა. შეიმუშაოს და განახორციელოს მოკავშირე რესპუბლიკებში საბითუმო ვაჭრობის ცენტრალიზაციის. სპეციალიზებული მაღაზია-სალონების ქსელის გაფართოების, მაღალმხატვრულ ნაკეთობათა გაყიდვის გადიდებისა და რეკლამის გაუმჯობესების ღონისძიებები.

ხალხური, დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციისა და ამ დარგში კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, რუსეთის სფსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც სარეწები აქვთ, სსრ კავშირის მხატვართა კავშირს, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიას რეკომენდაცია მიეცათ ხუთ წელიწადში ერთხელ მოაწყონ ხალხური სარეწების ოსტატთა ნაწარმოებების სრულიად საკავშირო გამოფენა. რეგულარულად გამართონ მათ ნახელავთა დათვალიერება-კონკურსები.

საჭიროდ არის მიჩნეული, რომ ქალაქ მოსკოვში შეიქმნას საბჭოთა კავშირის ხალხთა დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, როგორც ხალხური სარეწების ხელოვნების პროპაგანდის, შესწავლისა და განვითარების სრულიად საკავშირო ცენტრი და დაექვემდებაროს იგი სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა მოაწყოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ხალხური მხატვრული სარეწების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია, სადაც ნაჩვენები იქნება ოსტატ-მხატვართა მუშაობის ხერხები.

ცენტრალური და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ უფრო ფართო პროპაგანდა გაუწიონ ხალხური სარეწების ხელოვნებას.

წლეულს 31 აგვისტოს სრულდება სტახანოვური მოძრაობის მე-40 წლისთავი. ჩვენი ქვეყნის შრომითი კოლექტივები აქედანვე ემზადებიან ღირსეულად აღნიშნონ ამ შესანიშნავი თაოსნობის სახელოვანი იუბილე — აჩაღებენ ახალ შეჯიბრებას, კისრულობენ გაზრდილ ვალდებულებებს, თავიანთ რიგებში რიცხავენ ამ მოძრაობის მოთავეს — ა. სტახანოვს და მის მიმდევრებს, მათ მაგივრად შრომობენ. დამკვრელური შრომის მაგალითს რომ აჩვენებენ, ცალკეული ადამიანები — ახალგაზრდები თუ ვეტერანები, თავიანთ წარმატებებს სახელოვანი შრომის გმირების სახელს უკავშირებენ. მაგალითად, სტახანოვის სამშობლოში, დონეცკში შემოღებულია სპეციალური პრიზი — „სტახანოვის პრიზი“, რომელიც ყოველთვიურად გადაეცემა ყველაზე მოწინავე კოლექტივებს, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს.

სტახანოვური მოძრაობა 70-იან წლებში ახალი ძალით გაჩაღდა. ამის თაოსნები იყვნენ კომკავშირელები, ახალგაზრდები, რომლებმაც ჯერ კიდევ შარშან დონეცკში ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელთა საკავშირო შეკრებაზე გადაწყვეტეს დაეწყოთ შეჯიბრება დევიზით — „სამშობლოს, პარტიას — სტახანოვური შრომა!“, და მოწოდებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს და ვეტერანებს მხარი დაეჭიროთ მათი მოწოდებისათვის. სტახანოვური მოძრაობის მე-40 წლისთავის გამო ეკისრათ ახალი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები.

ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ მოწოდებას საქართველოს კომკავშირელები, ახალგაზრდები. დონეცკში გამართული შეკრების მონაწილის, თბილვაგონრემშენის ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **მირიან კოკოლაშვილის** მოწოდებით შეჯიბრება გაიშალა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით ეს შეჯიბრება საჯარო გახდა. **შეჯიბრების გამარჯვებულთათვის დაწესდება „სტახანოველის სამკერდე ნიშანი“.**

ახალგაზრდების სტახანოვური მოძრაობის ახლებურად გაჩაღების საქმეს ხელი შეუწყო აგრეთვე ახალგაზრდებისადმი რესპუბლიკის სახალხო-მეურნეობის სახელოვანი წარმომადგენლების — სოციალისტური შრომის გმირების — ზუგდიდელი მეჩაიის **თამარ ყუფუნიას** და თბილისელი ზეინკლის **ვასილ პაპიაშვილის** მიმართვამ **„ვიბრძოლოთ სტახანოველის წოდების მოსაპოვებლად!“** შრომის გმირებმა წინადადება წამოაყენეს დაწესდეს „70-იანი წლების სტახანოველის“ საპატიო წოდება.

შეჯიბრება დაიწყო. იგი სტახანოვური მოძრაობის მე-40 წლისთავს და დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30-ე წლისთავის სახელოვან იუბილეს ეძღვნება.

ამ დღეებში ა. სტახანოვს შეხვდა გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი რ. ჭელიძე.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თხოვნით ამ ახალ წამოწყებას კომენტარს უკეთებს და შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმება ცნობილი დონგასელი, მეუახტე, ვეტერანი სამთოელი, სოციალისტური შრომის გმირი ალექსი სტახანოვი.

ვინ მოიპოვებს „70-იანი წლების სტახანოველის“ წოდებას?

ყოველი დღე—გმირული შრომით!

პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეებს მიესალმება ალექსი სტახანოვი

მან თქვა:

ეა გზონდება ოცდაათიან წლებში დაწერილი რომელიღაც ჟურნალისტის სტატიები: ეს ახალგაზრდა კაცი XX საუკუნის ნამდვილი შვილია, მის მოქმედებაში ყველაზე მთავარი ის არის, რომ არასოდეს არ ყოფილა მარტო, არ განუცდია მარტოობის საშინელი გრძნობა, რადგან მისი გმირობა მილიონებში მეორდებაო. მაშინ ამ სიტყვებზე გამეღიმა, მაგრამ ახლა, როცა ხანში შევედი, როცა შრომის ფრონტი ჩემს აღზრდილებს დავუთმე და ვისვენებ, ვხედავ, რომ ეს ნამდვილად ასეა. დღეს ჩემი თავდადების მილიონებში განმეორება მაზარებს და მასაზრდოებს.

მოხარული ვარ, რომ საქართველოში დღესაც გაჩაღებითა შეჯიბრება „70-იანი წლების სტახანოველის“ წოდების მოსაპოვებლად. დიდებულია! ჩემი აზრით, ძველი თაობის სახელი და შრომითი მაგალითი რომ არ იკარგება, ეს იმის გამოც ხდება, რომ მომავალი თაობა უფროსთა ტრადიციებად ან ეროვნულ პატივისცემის გრძნობით აღვზარდეთ, — პირადი მაგალითით ჩავუნერგეთ ნინა თაობის საქმის სიყვარული.

ძველი თაობის ასეთი ადამიანები კი საქართველოს ბევრი მყავდა და, საბედნიეროდ, დღესაც ყავს. დ. ჭინჭინაძის, ტ. ფოფხაძის, კ. ილურიძის გვარები ჩემთვის ცნობილია... და ვინ იცის რამდენს კიდევ არ ვიცნობ.

ახალი შეჯიბრების მონაწილეებს მინდა შევახსენო, რომ დამკვრელური შრომა ძნელი, მაგრამ საპატიო საქმეა. ჩვენ დღეღამეს მარტო იმისათვის კი არ ვასწორებდით, რომ მეტი ანაზღაურება მოგვეღო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი პარტია ახე მოითხოვდა, და სამშობლომ დიდი პატივით, შარავანდედით ამიტომაც შეგვმოსა. მე მინდა ახალგაზრდებს, ახალი შეჯიბრების მონაწილეებს შევახსენო აგრეთვე, რომ არასოდეს არ შეუშინდნენ შეჯიბრებაში ე. წ. „კონკურენციას“, ვიუკაცურად შეხვდნენ ყოველ გამარჯვებას თუ მარცხს, ახსოვდეთ, რომ მჯობნის მჯობნი არ დაილევა. დამარცხდი? „ბრძოლის ველიდან“ ნუ წახვალ, კვლავ იბრძოლე, რომ შემდგომ გაიმარჯვო! გაიმარჯვე? თვითდამშვიდებას ნუ მიეცემი, ნუ გაყოყოჩდები! ყველაფერს ის სჯობს, რომ „დამარცხებულებს“ და „გამარჯვებულებს“ გიყვარდეთ ერთმანეთი. ეს თქვენს შეჯიბრებას უფრო ეფექტურს გახდის, შრომას მეტი ხალისი ექნება.

შეჯიბრების თვითეულ მონაწილეს უნდა ახსოვდეს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას დიდი სიკეთე და სარგებლიანობა მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის. ეს შრომითი პაექრობა მარტო ეკონომიური სტიმულირებისა და საერთო შემოსავლის ამაღლების წყაროო როდია, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია, სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ადამიანების შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მათი მორალური და ზნეობრივი სიმტკიცის, პარტიის იდეალებისადმი ჩვენი ერთგულების ნათელი დადასტურებაა. **ხუთწლედ ამ შეგნებით ვეჯიბრებოდით ერთმანეთს პირველი ხუთწლედების გვარდიელები. ამ შეგნებით უნდა იშრომონ ჩვენმა მოეკავშირეებმა თაობებმა.**

ყველა ადამიანის შრომა რომ სასიკეთო და ეფექტური იყოს, აუცილებელია დიდი პატრიოტული გრძნობა გამოძრავებდეს, პარტიის ყოველ მოწოდებას ასრულებდე, და სამშობლოს სიყვარულით იყო ანთებული.

თქვენს წინაშე ახლა დიდი ამოცანებია დასახული. მწყანს, რომ საქართველოს მშრომელები — ვეტერანები თუ ახალგაზრდები, რომლებსაც სოციალისტური შეჯიბრების უმდიდრესი ტრადიციები აქვთ, იმ მშვენიერი ქვეყნისას, რომლის შესახებაც ამ ბოლო დროს ბევრი სასიამოვნო, ღუღლასახარი ამბები მესმის, პირნათლად მოიხდიან თავიანთ ვალს — დამკვრელური შრომით აღნიშნავენ ხუთწლედის დამამთავრებელ წელიწადს.

ჩემო ძვირფასო ქართველო მეგობრებო! შრომის ვეტერანებო და საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა მშენებლებო! თქვენ, საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეებო, დიდი სიცოცხლისა ბრძნობით მოგესალმებით და გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს შრომაში, პირად ცხოვრებაში ჩვენი საბოლოოს საკეთილდღეოდ! ეროვნელ დღეს, — მხოლოდ გმირული შრომა!

სალმით თქვენი ა. სტახანოვი.

С приветом
ваш А. Стаханов

სურათზე: ა. სტახანოვი თავის ალზრდილ მეშახტეთა შორის.

ლ. აზრიელის ფოტო.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

იცნობდეთ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებს მონაწილეებს

სამხრეთ ოსეთში დიდი აღმავლობით შრომობენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების განხორციელებისათვის. სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ადამიანები აღაფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი, შემხვედრი გეგმები, ხარისხი, — აი ამოცანები, რომელთა გადაჭრისათვისაც იბრძვიან ახლა სამხრეთ ოსეთის მშრომელები.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებს — რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებს. მარცხნიდან — პირველი დგას ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **რ. ალბოროვი** — სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტი. ქსუისის კოლმეურნეობა სამხრეთ ოსეთში განთქმულია მეხილეობით, მაგრამ აქ წლების განმავლობაში თავმჯდომარეები იცვლებოდნენ, ხოლო კოლმეურნეობას წინსვლა არ ეტყობოდა. წელს უკეთ მდის სამუშაოები მეცხოველეობაში, მევენახეობაში, მებოსტნეობაში. **ვ. ღამბაშიძე** — ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე. იგი ხნავს, თესავს, შეაქვს სასუქები, იღებს მოსავალს... რომ იტყვიან, სოფლის საყვარელი შვილია, **ა. კოჩიევი** — ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი. თანასოფლელებმა მოწინავე ადამიანი სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ბრიგადა, რომელსაც ა. კოჩიევი ხელმძღვანელობს, საუკეთესოა საბჭოთა მეურნეობაში; **ფ. გასიევა** — ქარხანა „ემალსადენის“ მოწინავე მუშა, რომელიც პროფესიით მომმინანქრებელია. ის უწუნოდ მუშაობს, გეგმებს 130-140 პროცენტით ასრულებს. არა ერთი და ორი მადლობა მიუღია დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის; **რ. სანაკოევი** — ოლქის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს — ქარხანა „ვიბრომანქანის“ მეთაური. ქარხნის ძირითადი პროდუქცია — ელექტროვიბრაციული მანქანები მსოფლიოს 34 ქვეყანაში იგზავნება, დაკვეთებს პირნათლად და მაღალხარისხოვნად ასრულებს; **ზ. ჯიკაევა** — ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ის უკვე 1975 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში მუშაობს, საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს; **ნ. ოქრომპირიძე** — ცხინვალის რაიონის სოფელ დისევის კოლმეურნეობის ერთ-ერთი გამოცდილი და საუკეთესო მექანიზატორი; **ს. ბესთასევი** — სახელმოხვეჭილი ზნაურელი მექარხლე სოფელ მუგუეთიდან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ყოველწლიურად ჰექტარზე 800-1.000 ცენტნერ შაქრის ჭარხალს იღებს.

შრომობენ ადამიანები სამხრეთ ოსეთში. მათ ახარებთ რესპუბლიკის წარმატებანი. მაგრამ ამას როდი სჯერდებიან, ახალი ამოცანების გადასაჭრელად იბრძვიან.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ბ. ბოგბოზიას ფოტო.

კადრები სახალხო მეურნეობისათვის

25 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა საშუალო სპეციალური განათლების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირი ეძღვნება „საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებისა და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების რეალიზაციის ამოცანებს.

შეკრებილებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოლიბიერო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას თათბირის მონაწილეებისადმი. მისალმების ტექსტი წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ი. დოლგიხმა. ტაშმა კვლავ იგრიალა, როცა მან თქვა, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თხოვნით წარმატებულ მუშაობას უსურვებს თათბირის ყველა მონაწილეს.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა. თათბირის მონაწილეთა სახელით მან მხურვალე მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საშუალო სპეციალური სკოლის საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ საშუალო სპეციალური განათლების საბჭოთა სისტემამ ახლა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ქვეყანაში მოქმედებს 4.300-მდე ტექნიკუმი და სასწავლებელი. — თი მილიონზე მეტი კურსდამთავრებული ყოველწლიურად ემატება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კადრებს, მიდიან განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ყოფა-ცხოვრების დაწესებულებებში. ამასთანავე, როგორც მინისტრმა აღნიშნა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კურსი, რომელსაც პარტია ადგას, მოითხოვს გაძლიერდეს ზრუნვა სპეციალისტება სწავლების ხარისხისა და პრაქტიკული მომზადებისათვის.

საშუალო სპეციალური განათლების სისტემის სრულყოფის აქტუალურ პრობლემებს შეეხნენ თათბირზე საკავშირო და რესპუბლიკურ სამინისტროთა ხელმძღვანელები, სასწავლებელთა დირექტორები და მასწავლებლები.

(საკ. ...).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე გადამწყვეტი წლის საწარმოო გეგმებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკისა:

1. **ასათიანს** ვლადიმერ ალექსის-ძეს — თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალს.
2. **ახალაძეს** ნიკოლოზ ერასტის-ძეს — ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის გამომჭრელს.
3. **ახვლედიანს** ლევან ტარასის-ძეს — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ამწყობს.
4. **ახობაძეს** გენერა ნესტორის ასულს — ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მკერავს.
5. **ბადალაშვილს** ვალერი მელქოს-ძეს — „თბილსრესის“ ზეინკალს.
6. **ბაკურაძეს** გივი სერგოს-ძეს — ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის მუშას.
7. **ბანეთაშვილს** ლუბა ვასილის ასულს — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ გამწყობს.
8. **ბახტაძეს** თამარ ისაკის ასულს — თბილისის საფეიქროსაგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის“ მკერავს.
9. **ბეჟუაშვილს** მიხეილ ზაქარიას-ძეს — წინანდლის ღვინის საწარმოო გაერთიანების მუშას.
10. **ბერიას** ოლგა ვასილის ასულს — სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის მკერავს.
11. **ბერიკაშვილს** ნორა ივანეს ასულს — გორის საკონსერვო ქარხნის მუშას.

(დასასრული მე-3 გვ.).

ავამაღლოთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა, მისი უკუგება სახალხო მეურნეობისათვის

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო მუშაკები. კრება გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვice-პრეზიდენტმა ე. კ. ხარაძემ. მან წაიკითხა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას მისასალმებელი წერილი, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ კრების მონაწილენი.

შემდეგ კრების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ა. ი. ჯანელიძის, მ. მ. მირიანაშვილის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ი. ამირანაშვილის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. პ. გოკიელის ხსოვნას.

მოხსენება „რესპუბლიკის მეცნიერთა ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით“ გააკეთა ამხ. ე. კ. ხარაძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნები ვ. დ. კუპრაძე, თ. ფ. დავითაია, ა. ს. ფარანგაშვილი, გ. ვ. ცაცანიშვილი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ვ. ჭავჭანიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ვ. ი. მელქაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის აფხაზეთის ინსტიტუტის დირექტორი გ. ა. ძიძარია, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ი. ჯანელიძის, მ. მ. მირიანაშვილის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბ. ა. ლაპინი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი რ. ვ. გორდეზიანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ი. მეტრეველი, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინერი ტ. ლ. გენძეხაძე, საბჭოთა კავშირის მცირეძალიანი ელექტრონტექნიკური მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გ. მინდელი, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ბ. რ. ნანეიშვილი.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

ელექტრონულ ტექნიკურ მუშაობაში, თქვა მომხსენებელმა, რომელსაც ახლა ეწევიან ჩვენი ქვეყნის მეშრომელები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცნიერებას, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის ფაქტორს, უპირველესი მნიშვნელობა აქვს. არის რა პირველი რიგის ამოცანა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, წარმოების ინტენსიფიკაცია მოითხოვს ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას, რომლის საფუძველები იქმნება ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევებით, აღმოჩენებით. საქართველოს მეცნიერები დიდ მუშაობას ეწევიან მეცნიერული ნამუშევრების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ, ფუნდამენტური კვლევის შემდგომი გაშლისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით ძალისა და საშუალებების კონცენტრაციისათვის.

მაგრამ ახლანდელ ეტაპზე ცხოვრებამ, იმ სიღრმისეულმა პროცესებმა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ხდება, ქართველ მეცნიერთა წინაშე, ყველა ჩვენი შრომელის წინაშე განსაკუთრებული ამოცანები დასახეს. ისინი უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ მიმდინარე ხუთწლედის პირველი პერიოდის გეგმების შესრულებაში ჩამორჩენა იმდენად არსებითი გამოდგა, რომ 1973 და 1974 წლების დავალებათა გადაჭარბებით შესრულებასაც კი არ შეუძლია წარმოშობილი ხარვეზების შევსება, რათა შესრულდეს ხუთწლედი. ამასთან რესპუბლიკამ არა მარტო წარმებებით უნდა გაანაღდოს მიმდინარე ხუთწლედის დავალებანი, არამედ ღირსეულადაც მოეშალოს მომავალი ხუთწლედის გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენმა რესპუბლიკამ უნდა შეასრულოს საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილების ძირითადი დავალებანი. აკადემიის კოლექტივი ამ დადგენილების ცხოველი ინტერესითა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი დიდი მადლობის გრძნობით შეხვდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII, XIV და XV პლენუმებმა მთელი სისრულით ასახეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები და გზები. ქართველი მეცნიერებისათვის ისინი ფუძემდებელი გახდნენ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე, თქვა მომხსენებელმა, სპეციალურად განვიხილეთ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმების გადაწყვეტილებებიდან. ეს ამოცანები ნამუშევრების შედეგების რაც შეიძლება მალე დანერგვის საქმეში მეცნიერთა კოლექტიური მონაწილეობის გეგმა. წარმოებასთან მეცნიერების დაახლოებისათვის განსაკუთრებით არსებითი ღონისძიებანი განხორციელდა ამ ბოლო ორ წელიწადში, თქვა მომხსენებელმა. გაიმართა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის თათბირ-კონფერენცია სახალხო მეურნეობის წარმომადგენლებთან ერთად. მოეწყო თათბირი კოლეთის კომპლექსური პრობლემის შესახებ, განისაზღვრა აკადემიის მეცნიერთა ამოცანები კოლეთის შემდგომი ამოშრობისა და განთავისუფლებულ ათასობით ჰექტარი მიწის მეჩაიეობის საჭიროებებისათვის გამოყენების საქმეში.

მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეცნიერულ ნამუშევრებისა და ტექნიკური ფაქტორის ეფექტიანობის ამაღლებას, ალინიშნა ორატორებმა. ჩვენს ქვეყანაში მკაცრად ისჯებიან ისინი, ვინც ფლანგავს სახალხო დოვლათს. მაგრამ ჯერჯერობით შემწყნარებლურად ვეკიდებით იმათ, ვისაც ხალხის სამსახურში არ ჩაუყენებია მეცნიერების მიღწევები, არ დაუნერგავს ისინი წარმოებაში და, მაშასადამე, დამნაშავეა იმაში, რომ ჩვენმა სახალხო მეურნეობამ ზარალი განიცადა. ამგვარ შემწყნარებლობას ბოლო უნდა მოეღოს.

როგორც ბუნებისმეტყველების, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ჯერ კიდევ სუსტად ფიქრობენ: საქართველოში წარმოებაში მეცნიერული ნამუშევრების დანერგვას საწარმოები ახმარენ თავიანთი სახსრების 0,8 პროცენტს, ხოლო საერთო საკავშირო მასშტაბით ეს პროცენტი ორს უდრის.

ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაციისა და მთელი რიგი უწყებების მიზეზით შეუწყნარებლად ჭიანურდება რუსთავის ქიმიურ კომბინატში მანგანუმის დარიბი მადნების გადამუშავების ტექნოლოგიის დანერგვა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ლითონის უწყვეტი ჩამოსხმის ხრახნის ფორმის კრისტალიზატორიანი დანადგარის მშენებლობა.

საჭიროა დღენადაგ მტკიცდებოდეს მეცნიერთა კავშირურთიერთობა წარმოებასთან, ალინიშნეს ორატორებმა. ყველა ეს საკითხი ჯეროვნად უნდა შეისწავლოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა. მან უნდა მოაწყოს მუშაობა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების პრობლემურობისათვის, ასახოს გეგმებში ის პრობლემები, რომლებსაც მეცნიერები სთავაზობენ.

ამასთან დიდი როლი განეკუთვნება სამეცნიერო ორგანიზაციებს შორის კოოპერირებას, მთელი რიგი ინსტიტუტების მიერ პრობლემების ერთობლივ გადაჭრას. სწორედ ამაში, აღინიშნა კრებაზე, სერიოზულად ჩამოვრჩებით. ამ მნიშვნელოვან საქმეში ნაკლებად იგრძნობა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მაორგანიზებელი როლი. კრებაზე წამოვრეს საკითხი, რომ საჭიროა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეიქმნას სპეციალური რგოლი, რომელიც უშუალოდ იმუშავებდა წარმოებაში მეცნიერული ნამუშევრების დანერგვის საკითხებზე, შეათანხმებდა სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას.

წარმოებაში მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის ვადების გაჭიანურება ამცირებს მათ ეფექტს, აღნიშნეს ორატორებმა. ჩვენს ქვეყანაში მკაცრად ისჯებიან ისინი, ვინც ფლანგავს სახალხო დოვლათს. მაგრამ ჯერჯერობით შემწყნარებლურად ვეკიდებით იმათ, ვისაც ხალხის სამსახურში არ ჩაუყენებია მეცნიერების მიღწევები, არ დაუნერგავს ისინი წარმოებაში და, მაშასადამე, დამნაშავეა იმაში, რომ ჩვენმა სახალხო მეურნეობამ ზარალი განიცადა. ამგვარ შემწყნარებლობას ბოლო უნდა მოეღოს.

როგორც ბუნებისმეტყველების, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ჯერ კიდევ სუსტად აკოორდინირებენ სამეცნიერო კვლევას აკადემიასთან შექმნილი საარბიტრაჟო საბჭოები და კომისიები. ისინი სუსტად ათანხმებენ მუშაობას თვით აკადემიაში, და დარგობრივ სამეცნიერო ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან. საჭიროა კიდევ უფრო გააუმჯობესოს საქმიანობა აკადემიის დიდმა საკოორდინაციო საბჭომ.

მომხსენებელი და ორატორები შეეხნენ სამეცნიერო ნამუშევრების გამოყენებას და ალინიშნეს, რომ არ შეიძლება ჯეროვნად არ ვიფასებდეთ ან უტილიტარულად ვუდგებოდეთ ფუნდამენტურ გამოკვლევათა და სახალხო მეურნეობაში კვლევის შედეგების პრაქტიკული დანერგვის ურთიერთკავშირის საკითხს. თუმცა ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა კავშირი მჭიდრო და ურყევია, მეცნიერებათა აკადემიამ თავის მთავარ ამოცანად უნდა მიიჩნიოს ფუნდამენტური კვლევა. ეს მისი მაგისტრალური ხაზია. მაგრამ, აღინიშნა კრებაზე, თუ რომელიმე მიმართულებას შეიძლება გამოყენებითი მნიშვნელობა ჰქონდეს, ეს უმეტესად სწორედ ფუნდამენტურ გამოკვლევებს ეხება. ჩვენი პარტია, ხალხი მოითხოვენ, რომ საბჭოთა მეცნიერები, რომელ პრობლემებზეც უნდა მუშაობდნენ, უფრო ღრმად სწვდებოდნენ ეკონომიკას, სფეროს, სადაც მატერიალური დოვლათი იქმნება.

ვერ უგულებელყოფთ იმ საკითხსაც, თუ რამდენი სახსრები იხარჯება ჩვენში მეცნიერული კვლევისათვის და როგორია მათი უკუგება. ყველასათვის კარგად ცნობილი მიზეზების გამო, აღინიშნა კრებაზე, დისპროპორცია შეიქმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. მოსახლეობის ნაწილს აკლია ბინები, რესპუბლიკის ეკონომიკა დგას მთელი რიგი პრობლემების წინაშე. და ასეთ პირობებშიც კი უხვად გაიცემა სუბსიდია მეცნიერული კვლევისათვის, ამიტომ პარტიას, ხალხს სრული უფლება აქვთ ჰკითხონ მეცნიერებს: როგორია მათი კვლევის შედეგიანობა სახალხო მეურნეობაში? რესპუბლიკაში ეს სურათი ასეთია: მეცნიერული კვლევისათვის ის ციფრები: საქართველოში წარმოებაში მეცნიერული ნამუშევრების დანერგვას საწარმოები ახმარენ თავიანთი სახსრების 0,8 პროცენტს, ხოლო საერთო საკავშირო მასშტაბით ეს პროცენტი ორს უდრის.

ჩვენი სახალხო მეურნეობა დგას უამრავი პრობლემის წინაშე. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ჩამორჩენა, დისპროპორცია, რაზეც ბევრჯერ ყოფილა ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, ვლინდება არა მარტო იმით, რომ დროზე არ ვამოქმედებთ საჭირო საწარმოო სიმძლავრეებს, არამედ იმითაც, რომ უკვე არსებულ საწარმოებში მეტად დაბალია წარმოების, შრომის კულტურა, მრავალი მეცნიერ-ტექნიკური მუშაკის, მუშის და განსაკუთრებით იმათი კვალიფიკაცია, ვინც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროშია დასაქმებული.

ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც სახელგანთქმულია ყურძნისა და ხილის მოვლა-მოყვანის დიდი ტრადიციებით, ჰყავს აგრარიკოს მეცნიერთა მფელი არმია, აქვს სპეციალური ინსტიტუტები, ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მეტეოსამსახურის განშტოებული ქსელი, სერიოზულად ჩამორჩა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკას. როგორც კრებაზე აღინიშნა, ვენახებისა და ხეხილის ბაღების საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა ჩვენში ბაკალები დაბალია, ვიდრე, მაგალითად, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მოლდა-გაშენების კულტურაზე. ჩვენ სათანადოდ ვერ გადავწყვეტეთ კადრების მომზადების პრობლემა. იმ ორგანიზაციებში, სადაც ეს საკითხები უნდა გადაჭრილიყო, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც, ზნირად მეცნიერებას ჯეროვნად არ აფასებდნენ. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დაგვიძლევია ეს ტენდენციები, ისინი ზოგჯერ დღესაც იხდენენ გავლენას. თავს იჩენს პრიმიტივიზმი, ტენდენცია, რომ ვცხოვრობდეთ მხოლოდ დღევანდელი დღით, არ ვფიქრობდეთ, მეცნიერულად არ ვაპროგნოზებდეთ, არ ვითვალისწინებდეთ პერსპექტივებს 10, 15 და 20 წლით ადრე.

ბევრია პრობლემები, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას. რესპუბლიკაში დაღუპა ვენახები, ციტრუსები. ავადმყოფობის გამო დასავლეთ საქართველოში გადაშენდა თუთის ხე. ბრუცელოზმა და სხვა დაავადებებმა ათასობით, ათიათასობით სული პირუტყვი შეიწირეს. ანდა რამდენი დანაკარგი და ზარალია მრეწველობაში! სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ბრძოლის, მისი დაცვის საკითხი, იფიქრონ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაზე, არ დაუშვან მდინარეებისა და წყალსატევების გაჭუჭყიანება, უფრო სრულად გამოიკვლიონ დედამიწის წიაღის სიმდიდრენი.

მეცნიერთა საერთო კრებაზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა იმის გამო, თუ რა პოზიციას უნდა დაადგნენ რესპუბლიკის მეცნიერები, რათა აღმოფხვრან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ჩამორჩენა. მაგრამ, აღინიშნეს ორატორებმა, როცა ჩამორჩენაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ ვხედავდეთ იმას, რაც გაკეთდა, აშენდა, შეიქმნა. გაკეთდა კი ძალიან ბევრი რამ. გაკეთდა ის, რაც ალბათ, ჩვენი წინამორბედი თაობებისათვის ძნელი წარმოსადგენიც კი იყო. და თუ დღეს გულახდილად ვლაპარაკობთ ჩამორჩენაზე, ეს იმიტომ, რომ მტკიცე საფუძველზე ვდგავართ, ღრმად გვჯერა, რომ შეგვიძლია გავაკეთოთ მეტი, რომ რაღაც რამდენიმე წლის განმავლობაში შევძლებთ მთლიანად დავძლიოთ ეს ჩამორჩენა. პარტიისა არასოდეს არ დაუმალავს სიმართლე ხალხისათვის, ამ ჩამორჩენაზე ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე.

აქ, ამ დარბაზში, აღინიშნეს ორატორებმა, არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენი მეცნიერების, ჩვენი კულტურის შემდგომ აღმავრცელებაზე ოცნებობენ. მაგრამ ამ კეთილშობილურ მისწრაფებებს არ ექნებათ საფუძველი, თუ ჩვენ ყველანი არ ვიმუშავებთ ერთად, ერთნაირად არ აღმოვფხვრით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შექმნილ დისპროპორციას.

სახალხო მეურნეობის ჩამორჩენა, „განაცხადეს ორატორებმა, უშუალოდ უხდა მოქიდოს ხელი კადრების იდეოლოგიური წრთობის საკითხების გადაწყვეტას.

— ამავე დროს, აღნიშნეს ორატორებმა, ცალკეულ სამეცნიერო დაწესებულებებში არ არის ჯანსაღი ატმოსფერო, არ იგრძნობა დამაბვა, რასაც მოითხოვს ჩვენი ცხოვრების ახლანდელი რიტმი. ეს სერიოზულად ლახავს ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულების ავტორიტეტს. ნამდვილ მეცნიერებთან, ყველას მიერ პატივცემულ ავტორიტეტებთან ერთად, მეცნიერებაში ფეხი მოიკიდეს იმათაც, ვინც არ არის ღირსი არათუ მეცნიერთა რიგებში, არამედ მათ ახლოსაც იყოს. მაგრამ არის ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ზოგჯერ ადამიანები, რომლებიც სამუალოდ სწავლობდნენ სკოლაში, თავი არ გამოუჩენიათ უმაღლეს სასწავლებელში, არა აქვთ პრაქტიკული, და მით უმეტეს მეცნიერული მუშაობის ჩვევები, პოულობდნენ და, სამწუხაროდ, ახლაც პოულობენ მეცნიერებაში შეღწევის გზებს.

კრებაზე მოყვანილი იყო მაგალითები, თუ რა სამარცხვინო მოგლეჯნები მოჰყვა ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც ყველასაგან პატივცემული, დიდად ავტორიტეტიანი მეცნიერები ხელმძღვანელობენ, ლიბერალიზმს, სურვილს არ შექმნან ზედმეტი კონფლიქტები, ისინი ხომ უამისოდაც საკმარისია, სამწუხაროდ, მეცნიერთა შორისაც. როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, აღინიშნა კრებაზე, რომ ინსტიტუტში, რომელსაც პ. გუგუშვილი ხელმძღვანელობს, დისერტაციების დაცვა შეძლეს არა მარტო უნიჭო, უწიგნურმა ადამიანებმა, არამედ ელემენტარულმა დამნაშავეებმა? ანდა როგორ დავუკავშიროთ თბილისის რკინიგზის საადგმყოფოში მომხდარი შავბნელი, დანაშაულებრივი საქმეები და გაათალა იქ მოძუძავე გამოჩენილ მეცნიერს, რომლის სახელს უდიდესი პატივისცემითა და ამყოფილი ყორმოთქვამენ ჩვენს ქვეყანაში?

ამმხსენებელმა და ორატორებმა თავიანთ გამოსვლებში განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ საპატიოა იყო საბჭოთა ძეცნიერი და ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ მეცნიერის პრესტიჟსა და ავტორიტეტს, და ყოველი მეცნიერი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებითი საქმიანობით მისაბაძი ძალალითი უნდა იყოს.

ჩვენი მოვალეობაა, განაცხადეს ორატორებმა, შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ მეცნიერული ძუშაობა ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ უნიჭიერესთათვის. აქ მეუღლეობა არაფერი ყოველგვარი კომპრომისი. სხვაგვარად დიდი მომავალი ვერ ექნება ხალხს. რომელიც ამას დაუშვებს. მომავალი ვერ ექნება ასეთი ხალხის მეცნიერებას!

ზამოსვლებში ყურადღება დაეთმო მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების დაწინაურების საკითხს. აღინიშნა, რომ ბოლო დროს მეცნიერული დაგებითი შედეგები აკადემიის ინსტიტუტებია განყოფილებებისა და ლაბორატორიების ხელმძღვანელთა კადრების გაახალგაზრდავების საქმეში. როგორც აკადემიკოსი კაპიცა წერდა, მეცნიერების ორგანიზაციაში ყველაზე მთავარი და ძნელია ნამდვილად ნიჭიერი, შეძოქმედებითი ახალგაზრდობის გამოვლინება და მისთვის ასეთი პირობების შექმნა, რომლებშიც სწრაფად და სრულად გამოვლინდება მაი ნიჭი და უნარი. ამისათვის უნდა შეგვეძლოს შევაფასოთ ახალგაზრდა მუშაკის შემოქმედებითი [illegible], მაშინ, როცა ეგი ის-ის არი[illegible] იწყებს თავის მეცნიერულ მოღვაწეობას.

ამ დროსაც, ბევრი ჩვენი მეცნიერი მოუცლელობას იმიზეზებს და თავისი ასპირანტების ხელმძღვანელობას ანებებს ავალებს, ჯერიანი ჰასუხისმგებლობით არ ეკიდება ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი შრომებს. ეს ფაქტი, „განაცხადეს ორატორებმა, უშუალოდ ეხება ორ კიდევ ერთ კონტაქტი ჰქონდეს თვის აღსაზრდელებთან.

ბოლო დროს მდგომარეობა ამ დარგში თანდათან სწორდება. ძალზე მოსაწონია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივა ინსტიტუტებში ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოების შექმნის შესახებ.

ქართულ მეცნიერებას, თქვეს ორატორებმა, მრავალი ბერმუხა ჰყავს. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეც ხდებოდა, რომ ეს გიგანტები ჩრდილავდნენ ახალგაზრდა ყლორტებს, ნებსით თუ უნებლიეთ ან აძლევდნენ მათ აღმოცენებისა და განვითარების საშუალებას.

განა ჩვენი მომავალი ჩვენი შვილები, ჩვენი მოწაფეები არ არიან? განა შენი ცვლის აღზრდა, იმის შეგნება, რომ საყვარელი საქმე, რომელსაც ემუშაურები, რომელსაც სიცოცხლე შეალიე, საიმედო ხელშია, უფრო ცოტაა, ვიდრე შენი საკუთარი მეცნიერული გმირობა?

მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანების გადაწყვეტა შეუძლიათ მხოლოდ მაღალკვალიფიციურ კადრებს. კადრებისათვის ზრუნვამ გააკრთობინა აკადემიის, უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ღონისძიებანი და აკადემიასთან შექმნილია საშუალო და უმაღლესი სკოლების შუმდივრქმედი კომისია. ამ კომისიას ბევრი საინტერესო და სასარგებლო წამოწყებანი აქვს, მაგრამ მან ხელი უნდა მოჰკიდოს აგრეთვე მეცნიერების განვითარების ტენდენციების პროგნოზირებასა და სპეციალისტთა მომზადების სწორად დაგეგმვას.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა. ეს იქნება თავისებური უნიკალური მშენებლობა, რომელიც შეიცავს ათასობით ხიდს, ვიადუკს, აკვედუკს, გვირაბს. იგი მოითხოვს ბევრი დიდმნიშვნელოვანი გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, მეწყერ-ზვავების, გეოთერმული პრობლემების გადაჭრას, ქანების სიმტკიცის შესწავლას.

სამეცნიერო ინსტიტუტებს, დაწესებულებებს, სამინისტროებსა და უწყებებს, აკადემიის გეოფიზიკის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის, სამთო მექანიკის ინსტიტუტებს, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორებს აქ ფართო ასპარეზი გადაეშლებათ თავიანთი გამოცდილებისა და შემოქმედებითი უნარის გამოყენებისათვის.

მაგრამ ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა უფრო ფართოდ და მიზანდასახულად ვავითარებდეთ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების საქმეს. თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნათა დონეზე მუშაობის ეფექტიანობას, თქვეს ორატორებმა, ისიც განსაზღვრავს, თუ რამდენად ფართო და მჭიდრო კავშირი [illegible] შემოქმედებითი თანამშრომლობა ექნებათ ჩვენს მეცნიერებს მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო ცენტრებთან, განსაკუთრებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან. საკავშირო აკადემიის 250 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მიმოხილვითმა შრომებმა, აღნიშნეს ორატორებმა, ცხადყვეს, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსულმა და საბჭოთა მეცნიერებამ, საკავშირო აკადემიამ თანამედროვე ქართული მეცნიერების შექმნაში. მასთან მეცნიერული თანამშრომლობა ჩვენი წარმატებების საწინდარია. ორატორებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები ბევრ რესპუბლიკურ აკადემიასა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებთან ერთად წყვეტენ საინტერესო სამეცნიერო პრობლემებს. აკადემიის 60 მეცნიერი თანამშრომლობს 85 საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციაში, კავშირში, დარგობრივ კომისიაში, საბჭოში, სექციაში.

საქართველოს აკადემიის მეცნიერები დიდ დახმარებას უწევენ სამეცნიერო კადრების მომზადებაში ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-მალყარეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქსა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას.

ასეთი თანამშრომლობა, სამეცნიერო გამოკვლევებისა და ნამუშევრების ურთიერთგამდიდრება, გაცვლა, თქვეს ორატორებმა, მთელი რიგი პრობლემების ერთობლივად გადაჭრა გვეხმარება უფრო სრულად გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობაში ეფექტანი მეცნიერული ნამუშევრები და მათი შედეგები.

დღეევანდელ პრაქტიკაში, აღნიშნეს ორატორებმა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არ მარტო მეცნიერის, არამედ აგრეთვე პრაქტიკული ხელმძღვანელის ორგანიზატორული მუშაობის დონეს. ეს თვისებები უნდა ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას, უნარიანი ორგანიზაციით ხელი შევუწყოთ დიდ მეცნიერულ კვლევას. ჯერჯერობით ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე აქა-იქ მიშვებული გვაქვს.

ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმას, რომ საჭიროა კვლავაც გაფართოვდეს უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერება, გაღრმავდეს პრობლემები, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლების ლაბორატორიებია და სასწავლო კაბინეტებში წყვეტენ, გაიზარდოს მათი უკუგება სახალხო მეურნეობაში. ამჟამად მარტო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არის 24 საპრობლემო ლაბორატორია, რომელიც წარმატებით წყვეტენ და ამუშავებენ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო პრობლემებს.

საჭიროა, თქვეს ორატორებმა, ახლა ჩვენი მეცნიერების მთელი მეცადინეობა მოვახმართან ინსტიტუტებში ნამდვილად შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას, და რაც მთავარია, კრიტიკის სწორად აღქმას. ამ დროს კი რესპუბლიკის ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებაში და მეცნიერების ზოგიერთ დარგშიც, კი, შეიმჩნევა ცალკეული ავტორიტეტების, ძირითადად ხელმძღვანელების, ერთგვარი მონოპოლია, რომელიც ხშირად კონსერვატიზმს წარმოშობს. ბევრ დაწესებულებაში აღამიანებს ეშინიათ სამართლის თქმა. დამდუდვეელია, როცა კოლექტივში სამართლის თქმის ეშინიათ. ეს თანაბრად ამცირებს ხელმძღვანელსაც, რომელსაც ვარკვეული მოსაზრებებით სამართლისა ეშინია, და იმათაც, ვისაც არ ყოფნის მოქალაქეობრივი გამბედაობა უშიშრად თქვას სიმართლე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ისეც ხდება, როცა ადამიანები ბედავენ სამართლიანად, იციან, რომ ეგი საერთო საქმეს სარგებლობას მოუტანს, მაგრამ სდუმან, ხელმძღვანელობენ პრინციპით — რა ჩემი საქმეაო. პირიქითაც ხდება. ინსტიტუტსა თუ რაიმე ორგანიზაციაში, სადაც სულ რაღაც 20-30 კაცი მუშაობს, ახერხებენ შექმნან 5-7 დაჯგუფება. ხშირად ეს „მაღალი მეთაური“ ეხარეები ერთმანეთზე, თავიანთ კოლეგებზე, მათს მუშაობაზე ისე ღვარძლიანად ლაპარაკობენ, რომ უნებურად ნიღაბს ხდიან თავისი „მისწრაფების“ ნამდვილ მოტივებს, და ხშირად ეს არის — ელემენტარული შური, ეგოიზმი. ობიექტური ვნებათა ღელვა ამ და მათ მსგავს ადამიანებს აყენებს, რომ მთავარია არა მათი ემოციები, მათი სუბიექტური აღქმა, ჯერ-მედ იმ ორგანიზაციის, იმ დარგის საქმე, რომელშიც ისინი მუშაობენ, უფრო ღრმად კი — საერთო, სახალხო საქმე.

ამ სამარცხვინო მოვლენებს შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ და ეს პირველ რიგში ეკუთვნოთ მეცნიერებს, ითქვა კრებაზე.

განა მეცნიერებმა არ უნდა გეარჩიონ, როგორ ვებრძოლოთ მაგალითად პროტექციონიზმს? იგი ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა და მოითხოვს სისტემატურ მუშაობას, რათა ადამიანებს ჩავუნერგოთ ამ სოციალურად საშიში ბოროტების სწორი შეფასების უნარი.

სამწუხაროდ, აღნიშნეს ორატორებმა, ზოგიერთმა პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არასწორად აღიქვა. ამ ბოლო დროს ბევრს სიფრთხილის გამო ეშინია რეკომენდაციის მისცეს თავის თანამშრომლებს ამა თუ იმ თანამდებობაზე. ამ დროს კი, თუ ხელმძღვანელმა იცის, რომ მის ორგანიზაციაში არის ნიჭიერი კაცი, მან ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა საშუალება მისცეს გამოავლინოს თავისი ნიჭი უფრო შესაფერის სამუ

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

(დასასრული)

12. **ბერიტაშვილს** ნინო ბაგრატის ასულს — თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის მუშას;

13. **ზერიტაშვილს** ცისანა სურენის ასულს — თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ მკერავს;

14. **ბუხნიკაშვილს** ქეთევან იაკობის ასულს — თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მკრეკავს;

15. **ბუხრაშვილს** მამია გრიგოლის-ძეს — შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის ხარატს;

16. **გაგოშიძეს** ვალუშა ზაქარიას-ძეს — სამმართველო „საქვიოლგიის“ სახელოსნოს მუშას;

17. **გადალაძეს** თენგიზ გიორგის-ძეს — ელექტრონულ-ოპტიკური ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზეინკალს;

18. **გაფრინდაშვილს** ლევან ნიკოლოზის-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს გამყვანს;

19. **გეგუჩაძეს** ლევან ალოდოს-ძეს — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მეჯდილს;

20. **გოგუაძეს** ოლღა ანანიას ასულს — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების გამყვანს;

21. **გორგიაშვილს** მედეა ლავრენტის ასულს — გაერთიანება „ელვას“ მუშას;

22. **გოჩაძეს** სეიერიან იოანეს-ძეს — ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის სანტექნიკოსს;

23. **გოცაძეს** მიხეილ ქრისტეფორის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელს;

24. **დოცირიძეს** გულნარა სერაფიონის ასულს — თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო თაბრიკის მკერავს;

25. **გრეზნიკს** ანა აკიმის ასულს — სოხუმის თევზკომბინატის მუშას;

26. **გრიგალაშვილს** ნოდარ სერგოს-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელს;

27. **ბურგენიძეს** ოშანგი გიორგის-ძეს — თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ზეინკალს;

28. **დათიაშვილს** გივი პოლიკარპის-ძეს — ქუთაისის მინის ტარის ქარხნის მუშას;

29. **დანგიაშვილს** ივანე ალექსანდრეს-ძეს — თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის ხარატს;

30. **დარახელიას** ვალერიან სიმონის-ძეს — ზუგდიდის პოლიკომბინატის მუშას;

31. **დარბაიძეს** იაშა დავითის-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მბურღავს;

32. **დევნოზაშვილს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს — ფოლადაურის გეოლოგიური პარტიის ბურღვის ოსტატს;

33. **დეკანოსიძეს** ევტიხი კარპეს-ძეს — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მძღოლს;

34. **დიდიძეს** დურმიშხან იუსტინეს-ძეს — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშას;

35. **დოლიძეს** თენგიზ ალფეუსის-ძეს — ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორს;

36. **დუდაშვილს** ბაბუალა ივანეს ასულს — თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო თაბრიკის მკერავს;

37. **ენუკაშვილს** მიხეილ ივანეს-ძეს — ახმეტის სატყეო კომბინატის მლესავს;

38. **თარგამაძეს** ნიკოლოზ აოლონის-ძეს — ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროს ოპერატორს;

39. **თედეშვილს** მედეა თუთუს ასულს — გორის ბამბეულის კომბინატის მრთველს;

40. **თეთრაშვილს** დავთ დარჩოს-ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქბოლომერტარის“ საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნის მუშას;

41. **თოდუას** რომან ხარიტონის-ძეს — თბილისის № 3 მექანიკური ქარხნის მუშას;

42. **ინნაიშვილს** სერგო ერემიას-ძეს — „ვნიიტმეს“ მღარავს;

43. **იმერლიშვილს** რობინზონ დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სპეცსამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს დურგალს;

44. **ინანეიშვილს** დავით ალექსანდრეს-ძეს — „საქმთავარენერგოს“ ქუთაისის ელექტროქსელის ოსტატს;

45. **კაჭარავას** ნოდარ ილიას-ძეს — ქუთაისის ავეჯის ფაბრიკის მწნეხავს;

46. **კვაჭაძეს** ნაზი იპოლიტეს ასულს — ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსამშენებლო ქარხნის მეიბავს;

47. **კვესაძეს** ქართლოს ვახტანგის-ძეს — ქარხანა „მიკროტრონის“ ამწყობს;

48. **კვირიკაშვილს** ეთერ ლევანის ასულს — გორის ბამბეულის კომბინატის მრთველს;

49. **კიკვიძეს** გურამ ალექსანდრეს-ძეს — ქუთაისის მეცირეადგილიანი ტრაქტორების ქარხნის ხარატს;

50. **კირვალიძეს** შოთა მელიტონის-ძეს — თბილეფურკომბინატის მუშას;

51. **კირცხალიას** გულბარდი სოლომონის ასულს — ვიგეკორის ჩაის თაბრიკის მუშას;

52. **კოფუხოვსკის** ვლადიმერ ვალენტინის-ძეს — თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის მჩარხავს;

53. **კოკოევს** ვასილ ეგორის-ძეს — ქარხანა „ვიბრომაშინის“ ხარატს;

54. **კონსტანტინოვს** ტიმოთე ალექსის-ძეს — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ზეინკალს;

55. **კოროვინს** ალექსი ივანეს-ძეს — ქარხანა „გრუზსელმაშის“ მღარავს;

56. **კრიცოვას** ელენე კუზმას ასულს — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მხვეველს;

57. **კუპრაძეს** სერგო ვლადიმერის-ძეს — თბილისის ქარხანა „სენტროლიტის“ მეყალიბეს;

58. **კუხალაშვილს** ცისანა ივანეს ასულს — ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მკერავს;

59. **ლავროვსკის** ოლეგ ანტონის-ძეს — თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის ზეინკალს;

60. **ლაზარენკოს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ქარხანა „ელექტროგამზომების“ მღარავს;

61. **ლალიძეს** ამირან ვასილის-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ ბურღვითი ძიების მბურღავს;

62. **ლომიძეს** თენგიზ სიმონის-ძეს — თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მოდელიერს;

63. **მაზმიშვილს** თენგიზ შალვას-ძეს — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალს;

64. **მიიდესიანს** ავეტიკ გაგიკოს-ძეს — თბილისის მუსიკალურ-კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის დურგალს;

65. **მაისურაძეს** დომენტი ნიკას-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ გაერთიანებული ნავთობსარეწის ოპერატორს;

66. **მაღრაძეს** ვლადიმერ ვასილის-ძეს — თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის ზეინკალს;

67. **მაცაბერიძეს** ვახტანგ იოსების-ძეს — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალს;

68. **მახარობლიძეს** თამაზ იასონის-ძეს — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაზომშემკეთებელი ქარხნის ზეინკალს;

69. **შვალობლიშვილს** შაქრო ვახტანგის-ძეს — ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის მღარავს;

70. **მეტრეველს** გიორგი პავლეს-ძეს — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საცდელი გამამდიდრებელი ფაბრიკის ზეინკალს;

71. **მისიურინს** ვასილ იაკობის-ძეს — თბილისის ქარხანა „ელეტროძრავის“ მუშას;

72. **ნაზაროვს** ივანე იაკობის-ძეს — ოჩამჩირის ზეთის საექსტრაქციო ქარხნის მუშას;

73. **ნებიერიძეს** ვაჟა მელიტონის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელს;

74. **ნებულაშვილს** ალრლო პეტრეს-ძეს — შორაჰესის გეოლოგიური პარტიის უფროს ოსტატს;

75. **ნეგრეცკაიას** ლუბა ივანეს ასულს — თბილისის რძის კომბინატის მუშას;

76. **ნეფარიძეს** გერონტი სერგოს-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მბიგეს;

77. **ოდლავაძეს** ბიგი ვლადიმერის-ძეს — ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის დამგვრისტებელს;

78. **ორეხოვს** დიმიტრი ალექსის-ძეს — თბილისის საწარმოოტექნიკური გაერთიანება „ელექტროზელსაწყოს“ ხარატს;

79. **ოჭრომელიძეს** ტარიელ ლაზარეს-ძეს — გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს ხარატს;

80. **პეტროვას** ვერა ივანეს ასულს — თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მედიდეს;

81. **უამკოიანს** ვარაზდატ ბარსეგის-ძეს — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის შემდუღებელს;

82. **რევიას** ნოდარ შალვას-ძეს — ტრესტ „იუვაერომატიკის“ თბილისის სპეციალიზებული სამმართველოს მუშას;

83. **რეშეტნიკოვს** პეტრე დოროთეს-ძეს — თბილისის საწარმოო-ტექნიკური გაერთიანება „ელექტროხელსაწყოს“ ზეინკალს;

84. **როვენკოვს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატს;

85. **რურუას** მურმან ლეონტის-ძეს — თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის მუშას;

86. **სილოგავას** ივლიანე პლატონის-ძეს — თოთის მანქანათსამშენებლო ქარხნის მეტალელადეთა ბრიგადირს;

87. **სიუკაევს** მუხტარ დიმიტრის-ძეს — ცხინვალის ქარხანა „ემალპროდოლის“ მუშას;

88. **სკალოზუბოვს** ვასილ ოსიპის-ძეს — აჭარის თევზეკერის ფლოტის სამმართველოს სეინერ № 80-ის კაპიტანს;

89. **ტაკარაძეს** ეუფუნა სერაფიონის ასულს — ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის მუშას;

90. **უნდოლაშვილს** ვახტანგ ივანეს-ძეს — თბილისის „პლასტმასის“ ქარხნის მწნეხავს;

91. **ქარკაშაძეს** მარო ვარლამის ასულს — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ძაფის ამომდებს;

92. **ქელეხსაევს** სერგო საბასძეს — კვასის მაღაროთსამმართველოს მუშას;

93. **ქსოვრელს** ივანე არტემის-ძეს — თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის მუშას;

94. **ჩაგელაშვილს** ილია ბესარიონის-ძეს — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ოსტატს;

95. **ჩეხაშვილს** ივანე პეტრეს-ძეს — თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ხარატს;

96. **ჩოგოვაძეს** თინა ევგენის ასულს — ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მკერავს;

97. **ჩოჩუას** ვალიკო სერაპონის-ძეს — ტრესტ „საქნავთის“ საძიებო ჭაბურღილების გასინჯვის კანტორის მემანქანეს;

98. **ცერცვაძეს** დავით ნარიმანის-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ახალი ითხვისის მაღაროსამმართველოს მებიგეს;

99. **ცისკარიშვილს** რევაზ გიორგის-ძეს — თბილისის ქარხანა „თბილიზოლიტის“ ზეინკალს;

100. **ციქურიშვილს** ვალიკო ზაქარიას-ძეს — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თბილისის ავიასაწარმოს ზეინკალს;

101. **ციცქიშვილს** როსტომ ზაქარიას-ძეს — რუსთავის ქარხანა „ცენტროლიტის“ მუშას;

102. **ცოფურიშვილს** ისაკ ზაქარიას-ძეს — ავჭალის მინის ქარხნის მუშას;

103. **ცხოვრებოვს** სერგო პეტრეს-ძეს — რუსთავის ამწესამშენებლო ქარხნის ზეინკალს;

104. **ჩანტურაიას** ალოიზა მიხეილის-ძეს — ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხნის ამწყობს;

105. **ჩოველიძეს** ლავრენტი გენოს-ძეს — ცხინვალის სატყეო კომბინატის მედაზგეს;

106. **ხარაზიშვილს** მარიამ ივანეს ასულს — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ მწნეხავს;

107. **ხვედელიძეს** ივანე ხარიტონის-ძეს — ჭიათურის გეოლოგიური პარტიის მუშას;

108. **ხიჯაკაძეს** ღუტუ ვლადიმერის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელს;

109. **ხუბაევს** რაფიელ ბიმბოლოს-ძეს — თბილისის ჰიდროგეოლოგიური პარტიის მუშას;

110. **ხურციას** ნოკოშა რომანოზის-ძეს — ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო ქარხნის ხარატს;

111. **ხუციშვილს** შალვა ილიას-ძეს — თბილისის საწარმოო-ტექნიკური გაერთიანება „ელექტროელსაწყოს“ ზეინკალს;

112. **ჯაბუას** თაია დიმოს-ძეს — თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის ამომჭრელს;

113. **ჯინჯარაძეს** ჯემალ ვასილის-ძეს — თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის მუშას;

114. **ჯიშიაშვილს** ივანე ონისიმეს-ძეს — „საქმთავარენერგოს“ თბილისის ელექტროქსელის ოსტატს;

115. **ჯორბენაძეს** ვაჟა ალისტარხოს-ძეს — ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის ელექტროშემდუღებელს;

116. **ჯოხაძეს** შოთა კონსტანტინეს-ძეს — თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატს.

საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკისა:

1. **ბოლოთაშვილს** არტემ ბესარიონის-ძეს — ცხინვალის საავტომობილო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს;

2. **გეგელაშვილს** თენგიზ ნიკოლოზის-ძეს — თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს;

3. **ჩიბიაძეს** ახმედ კაზიმის-ძეს — ბათუმის № 2655 ავტოკოლონის მძღოლს;

4. **კაშჩეევს** ალექსანდრე ანდრიას-ძეს — თვითმფრინავ ან-24 ხომალდის მეთაურს;

5. **კოვზირიძეს** შალვა თევდორეს-ძეს — ქუთაისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს;

6. **ფხაკაძეს** ლეონიდე ნოეს-ძეს — აკ. რკინიგზის სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირს;

7. **შვაგურცევს** ნიკოლოზ გრიგოლის-ძეს — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თბომავალ „სამტრედიის“ მოტორისტს;

8. **ძნელაძეს** ნოდარ დავითის-ძეს — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თბომავალ „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის“ მოტორისტს.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დასახელებული მუშაკისა:

1. **ბერეკაშვილს** თამარ ბიქტორის ასულს — კავშირგაბმულობის ქუთაისის საქალაქო კვანძის განყოფილების უფროს ოპერატორს;

2. **კაბულოვას** ანა სოფრონის ასულს — კავშირგაბმულობის ცხინვალის საქალაქო კვანძის დამტარებელს;

3. **კალატოზიშვილს** ილია დავითის-ძეს — თბილისის კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძის მონტიორს;

4. **მარშანიას** ნათელა არჩილის ასულს — თბილისის ტელეგრაფის ტელეგრაფისტს;

5. **ოპრიას** სიმონ სიმონის-ძეს — ბათუმის ტელეგრაფის უფროს ელექტრომექანიკოსს;

6. **შავლაძეს** ელენე ივანეს ასულს — თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტს;

7. **ხუხიას** ვენერი მაქსიმეს ასულს — თბილისის ფოსტამტის № 8 განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მენეჯერსა:

1. **ავსაჯანიშვილს** გიორგი შოთა-ძეს — თბილისის ლენინის რაიონის სარემონტო-სამშენებლო კანტორის ოსტატს;

2. **არეშიძეს** ამირან არჩილის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის № 5 მშენებლო სამმართველოს ხუროს;

3. **ვლაზოვს** ვასილ ვასილის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის ტრესტის № 1 მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს;

4. **გულიშვილს** ნიკოლოზ მიხეილის-ძეს — ტრესტ „სამშენაფონმონტაჟის“ რუსთავის სამონტაჟო სამმართველოს ბრიგადირს;

5. **ვაშაკიძეს** სერგო იოსების-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის დურგალს;

6. **თურქიშვილს** ფარნაოზ გაბრიელის-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „სასოფლომშენინდუსტრიის“ მეარმატურეს;

7. **ლატინინს** ვლადიმერ პეტრეს-ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მექანიკოტრესს;

8. **მაღლაკელიძეს** ნოდარ სერაფიონის-ძეს — „თბილგვირაბმშენის“ № 5 საგვირაბო რაზმის ზეინკალს;

9. **ტერეშჩენკოს** ანატოლი ივანეს-ძეს — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ რუსთავის სპეცსამონტაჟო სამმართველოს ბრიგადირს;

10. **ძიძიგურს** თანდიკო სანდროს-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 სამშენებლო ტრესტის კალატოზს;

11. **შიდლოვსკის** ნიკოლოზ ვასილის-ძეს — აფხაზეთის ასსრ საბინათა-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საწარმოო დაწესებულებათა კომბინატის ოსტატს;

12. **ჭელიძეს** ივანე სამსონის-ძეს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამოქალაქო საბინაო მშენებლობის სამშენებლო სამმართველოს მებეტონეს;

13. **ხუციშვილს** ილია ნიკოლოზის-ძეს — ტრესტ „ინკომშენის“ № 2 საგზაო“ სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირს;

14. **ჯაგახიშვილს** უშანგი ნიკოლოზის-ძეს — ტრესტ „საქკომთრანსმშენის“ საგარეჯოს რაიონის სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსს;

15. **ჯერენაშვილს** ვასილ ნიკოლოზის-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო-სამშენებლო ტრესტის № 131 სამშენებლო სამმართველოს მებეტონდოზერეს;

16. **ჯმუხაძეს** დიანოზ მოსესძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „თბილგორბიმშენის“ მე-14 სამშენებლო ტრესტის მე-8 სამმართველოს ხუროს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორისა:

1. **დუდუჩავას** შოთა სიმონის-ძეს — ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უბნის ჰიდროტექნიკოსს;

2. **კოპალეიშვილს** ვალერიან გრიგოლის-ძეს — სამტრედიის რაიონის ეწერ-იანეთის კოლმეურნეობების მელიორატორს;

3. **მაზმიშვილს** ლონგინოზ ალექსანდრეს-ძეს — გორის რაიონის ვარიანის ვეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მრწყველს;

4. **ჩჩაიძეს** ბიკენტი პავლეს-ძეს — გარდაბნის სარწყავი სისტემის სამმართველოს ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკისა:

1. **ასანიშვილს** ქეთევან კონსტანტინეს ასულს — თბილისის კიროვის რაიონის „კვებვაჭრობის“ დირექტორის მოადგილე

2. **გაფრინდაშვილს** გიორგი გრიგოლის-ძეს — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ მეშა-მოსამსახურეთა № 9 სასადილოს გამგეს;

3. **გიორგაძეს** თამარ მიხეილის ასულს — თბილისის კალინინის რაიონის „კვებვაჭრობის“ № 9 მაღაზიის გამგეს;

4. **დბარს** რაისა დათოს ასულს — სოხუმის „მრეწველაჭრობის“ № 41 მაღაზიის უმცროს გამყიდველს;

5. **კახპარიანს** კლარა აკოფის ასულს — „სოხუმმრეწველაჭრობის“ № 1 უნივერმაღის უფროს გამყიდველს;

6. **მალავერიანს** ოფელია ალასის ასულს — თბილისის „საქიუველირეაჭრობის“ № 1 მაღაზიის სექციის გამგის მოადგილეს;

7. **მალაყუაძეს** ისმაილ მეგლუდის-ძეს — ხილეიაურის რაიონის კაპრეშუმის სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველს;

8. **მარტინენკოს** შოთა იოსების ძეს — ახალციხის სავაჭრო ბაზის საქონელმცოდნეს;

9. **მელიქიშვილს** ნინო გიორგის ასულს — დუშეთის რაიკოოპკავშირის ფასანაურის მომხმარებელთა საზოგადოების უნივერმაღის სექციონერს;

10. **ნადიბაიძეს** მაშო ისაკის ასულს — ასპინძის რაიკოოპერატივის სოფელ ოთის მაღაზიის გამგე-გამყიდველს;

11. **ფორფოლიანს** დარისპან ილარიონის-ძეს — ქუთაისის „კვებვაჭრობის“ № 4 მაღაზიის გამგეს;

12. **სულავას** თათუშა იოსების ასულს — გეგეჭკორის რაიკოოპკავშირის წიგნის მაღაზიის გამგე-გამყიდველს;

13. **ჭოხონელიძეს** დიმიტრი კონსტანტინეს-ძეს — თბილისის პირველი მაისის რაიონის „კვებვაჭრობის“ № 30 მაღაზიის სექციის გამგის მოადგილეს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორისა:

1. **გოგოლაძეს** ლევან მიხეილის-ძეს — რესპუბლიკური გაერთიანება „სიქსოფლტექნიკის“ ხაშურის რაიონული გაერთიანების ტრაქტორისტს.

2. **კვეტენაძეს** კოტე სიმონის-ძეს — რესპუბლიკური გაერთიანება „სიქსოფლტექნიკის“ თერჯოლის განყოფილების სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

3. **ნიოლაიშვილს** გიორგი ალექსანდრეს-ძეს — რესპუბლიკური გაერთიანება „სიქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული გაერთიანების ტყეშვილის განყოფილების სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

4. **ონიაშვილს** გეგუცა ფირუზის-ძეს — რესპუბლიკური გაერთიანება „სიქსოფლტექნიკის“ ოხატეტის განყოფილების სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

5. **შოშიაშვილს** არჩილ საბასძეს — რესპუბლიკური გაერთიანება „სიქსოფლტექნიკის“ თელავის გაერთიანების ტრაქტორისტს.

6. **შულაიას** ილია ილიას-ძეს — ზუგდიდის რაიონის ლენინის ორდენოსანი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორს.

7. **ხოსტაშვილს** მირიან ზაალის-ძეს — გარდაბნის რაიონის სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიზატორს.

8. **ხუროშვილს** დიმიტრი გიორგის-ძეს — გორის რაიონის შავშვების საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკისა:

1. **ადუაშვილს** ნინო ვასილის ასულს — საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობის მწველავს.

2. **ახუნდოვას** სინა მახმუდ ყზის — მარნეულის რაიონის მრავალწლიანი ბალახების თესლის წარმოების მეურნეობის მუშას.

3. **გოგილაშვილს** ივანე თომასძეს — წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეეზვარეს.

4. **გეთიას** გაგა ალექსის-ძეს — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის მესამინდეს.

5. **გურაშვილს** იოსებ ვასილის-ძეს — სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მწყემსს.

6. **ესლანიძეს** მურად ოსმანის-ძეს — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეციტრუსეს.

7. **ვახტანგიშვილს** გერმანე ივანეს-ძეს — ქარელის რაიონის დაბა ქარელის კოლმეურნეობის ბრიგადირს.

8. **იმნაიშვილს** მიხეილ იაკინთეს-ძეს — ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის კოლმეურნეობის მესამინდეს.

9. **კუჩმაზიას** გრიგოლ სერგოს-ძეს — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის პარტიის XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს.

10. **მარკოზაშვილს** ვანო გიოსძეს — ახმეტის რაიონის მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს.

11. **მებილიანაშვილს** სოლომონ ვლადიმერის-ძეს — მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის მეჩაიეს.

12. **ნარეკლიშვილს** გოგია კოტეს-ძეს — ბაგრატიონის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მევენახეს.

13. **ნარიმანაშვილს** სოლომონ ხვეისბერის-ძეს — დუშეთის რაიონის სოფელ მაღარიკარის კოლმეურნეობის უფროს მწყემსს.

14. **რუხაძეს** მარიამ სამსონის ასულს — წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეს.

15. **სირაძეს** ნიკო თომას-ძეს — ყვარლის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

16. **ღარიბიანს** ანტარამ ხაჩატურის ასულს — ახალქალაქის რაიონის სოფელ ორჯის კოლმეურნეობის მწველავს.

17. **შამათავას** კლიმენტ ალექსის-ძეს — ცხაკაიის რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრს.

18. **ჯაბაშურიას** ბიბეკო გრიგოლის-ძეს — აბაშის რაიონის სოფელ ტყვარის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკისა:

1. **ბგაუბას** ხაიბეი სოლომონის-ძეს — სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მეფისქვილეს.

2. **გრიგორიანს** ვაზგენ მანუკის-ძეს — რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოსახურების კომბინატის ფოტოგრაფს.

3. **ვალიევას** რუსუდან ვლადიმერის ასულს — ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მოდების ატელიეს მკერავს.

4. **კუზნეცოვას** ლიუდმილა ნიკოლოზის ასულს — ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ადანო-საპარიკმახეროების ტრესტის მანიკიურის ოსტატს.

5. **ფირანიშვილს** ეთერ ვლადიმერის ასულს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მკერავს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი, 1975 წლის 26 თებერვალი.

კვალავენ მომავლის გზებს

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების 1975 წლის ლაურეატები

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 54-ე წლისთავის თარიღისათვის გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადწყვეტილება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საუკეთესო შრომებისათვის ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1975 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა ოჯახს ახალი წევრები შემოემატა. ქართველი სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა ამ ცნობას, მოლოცვებითა და ამოუწურავი წარმატებების სურვილით შემოეგება ახალ ლაურეატებს.

წელს გასულ წლებთან შედარებით სამეცნიერო-საკვლევმა, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტში საკმაოდ ბევრი თეორიული და გამოყენებითი ნაშრომი წარადგინეს ფიზიკა-მათემატიკურ, ბიოლოგიურ, გეოლოგია-მინერალოგიურ, ტექნიკურ, სოფლის მეურნეობის, ისტორიულ, ეკონომიურ და მედიცინის მეცნიერებათა დარგებში. საგულისხმოა, რომ ყველა წარდგენილი ნაშრომის, მეცნიერული დონე ისეთი მაღალი იყო, მიების კომიტეტის წევრთა წინაშე დიდი სიძნელე წამოჭრა ნაშრომთა შორის საუკეთესო ნაშრომების არჩევანის დროს, მაგრამ ეს სიძნელე ერთობ საამოვნოც იყო, რადგანაც კიდევ ერთხელ ნათელყოფდა ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა წონადს წვლილს მეცნიერების არა მარტო სამამულო, არამედ მსოფლიო საგანძურშიაც.

მაღალხარისხოვანი ნაშრომების წარდგენაში დიდი აქტიურობა და ამ შრომების სიუხვე შემთხვევითი რადია. ეს შედეგია ჩვენი ხალხის შრომითი ენთუზიაზმის მკვეთრი აღმავლობისა პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად, ენთუზიაზმისა, რომელმაც ახალი ძალით იჩინა თავი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული განმაახლებელი მუშაობის პირობებში, რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს შესაქმნელად. ჩვენთვის ყველასათვის სასიამოვნოა ის გარემოებაც, რომ ახალ ლაურეატთა შორის არიან მეცნიერები და სპეციალისტები, რომელნიც ოჯახურად მეცნიერებას ემსახურებიან, მაგრამ ქართველ მეცნიერებთან და სპეციალისტებთან ხელიხელჩაკიდებული ერთ, საერთო მიზანას ემსახურებიან და ამით საგნობრივად განსასახიერებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მტკიცე ერთობასა და ძმობას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ნიოლოზ ვეკუას** მონოგრაფიისათვის — „სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემები“.

სინგულარული ინტეგრალური განტოლებების თეორიის სრულყოფილი შესწავლა და ამ თეორიის გამოყენება მათემატიკური ფი

ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის საინფორმაციო იტყობინებიან

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 26 თებერვალი. (საკდესი) გუშინ მეოთხედ შეიკრიბა უშიშროების საბჭო, რათა სასწრაფო წესით გამონახოს კვიპროსის საკითხის მტკიცე და სამართლიანი გადაჭრის გზა, საკითხისა, რომელიც გამწვავდა თურქთა თემის ხელმძღვანელების ცალმხრივი ნაბიჯების შედეგად, რაც გამოიხატა კუნძულზე განცალკევებული სახელმწიფო ერთეულის შექმნით.

უშიშროების საბჭოს ყველა წევრი, რომლებიც დღემდე გამოდიოდნენ დისკუსიაში, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ და მთელი მოცულობით შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი კვიპროსის შესახებ. ამასთან მთელ რიგ გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ კუნძულზე ახალი სიტუაციის შექმნა მოითხოვს პრობლემის გადაჭრისადმი ახალ მიდგომას. ხაზს უსვამდნენ აგრეთვე, რომ უშიშროების საბჭომ უნდა დააწესოს კუნძულიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის შესრულების მტკიცე ვადები.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲦᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ

პარიზი, 26 თებერვალი. (საკდესი). აღშფოთებით შეხვდა საფრანგეთის საზოგადოებრიობა ნაციისტი დამბაშავის ოტო სკორცენის გუშინდელ გამოსვლას ადგილობრივი ტელევიზიით. სს-ელმა კაცის მკვლელმა ამ გადაცემის დროს რეკლამა გაუწია პარიზში გამოცემულ მის „მოგონებათა“ წიგნს.

როცა ყოფილი ჰიტლერელი სტუდიის შენობიდან გამოდიოდა, მასთან მივიდა ერთ-ერთი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტუსაღი, საფრანგეთის არმიის ოფიცერი. მან თქვა, კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს ნაციისტების სისხლიან დანაშაულობებს მეორე მსოფლიო ომის წლებშიო და შოლტი გადაუჭირა სკორცენის.

მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა, რომლებიც აერთიანებენ საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებსა და ნაციისტური საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტუსაღებს, გადაჭრით განაცხადეს პროტესტი სს-ელი მკვლელისათვის სატელევიზიო ტრიბუნის დათმობის წინააღმდეგ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲐᲜᲘ

6:6 — ᲒᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ პარტიაში ალექსანდრიამ შაგებით ისევ სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტს მიმართა. მან გამოიყენა გეგმა ლაზიერის გადასროლით მეფის ფრთაზე, რაც რეკომენდებულია თანამედროვე თეორეტიკოსების მიერ, ლევიტინა, ეტყობა, ვერ გაერკვა ამ დასაწყისის ნიუანსებში, დებიუტის შედეგად თეორების უპირატესობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. მე-15 სვლაზე ჭაბთველმა მოჭადრაკემ სწორად შესწორა ხარისხი პაიკში. შემდგომში მას შეეძლო მეორე პაიკის მოგებაც, მაგრამ შეფერხდა და მხედველობიდან გამორჩა თეთრების ტაქტიკური დარტყმა. ამ მომენტიდან მოყოლებული უპირატესობა ლევიტინას მხარეზე გადავიდა. მან დაიბრუნა პაიკი და ზედმეტი ხარისხი შეინარჩუნა.

მეტოქეები უსასტიკეს ციტნოტში მოხვდნენ. ისინი ვერ ასწრებდნენ სვლების ჩაწერას და ელვის სისწრაფით თამაშობდნენ. ასეთ პირობებში ალექსანდრია მეტოქეზე გაცილებით უკეთ მოქმედებდა. მან ზამოძრავა ცენტრალური პაიკი და გააქტიურა ტელი. ლევიტინამ პარტიის დასკვნითი ნაწილი სუსტად წარმართა. მან მეტოქეს ხარისხი დაუბრუნა, წაგო პაიკიც. ამიერიდან ალექსანდრიას არა მარტო მატერიალური, არამედ პოზიციური უპირატესობაც ჰქონდა.

როგორც პარტიის გადადების მომენტასათვის გამოირკვა, საჭირო 40 სვლის ნაცვლად მეტოქეებს გაუკეთებიათ 46(!) — მათ, უბრალოდ, არ იცოდნენ, რომ საკონტროლო სვლების რაოდენობა კარგა ხანია შეესრულებინათ. მართლაც, რა არ ხდება, როდესაც მოფიქრებისათვის განკუთვნილი დრო იწურება.

ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐ — ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ

ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

1. e4 c5 2. ᲤᲐ ᲫᲪ6 3. d4 cd 4. Ფ:d4 g6 5. ᲫᲪ3 ᲙᲒ7 6. ᲒᲔ3 ᲤᲔ 7. ᲙᲒ4 ᲚᲐᲠ 8. 0-0 0-0 9. ᲙᲑ3 d6 10. h3 ᲙᲓ7 11. ᲔᲔ1 ᲔᲐᲪ8 12. f4 ᲔᲤᲔ8 13. ᲚᲤ3 ᲚᲗ5 14. ᲛᲤ2 ᲤᲐ5 15. ᲔᲐᲓ1 Ე:Ც3 16. bc Ფ:e4 17. Ლ:e2 Ლ:e2 18. Ფ:e2 ᲙᲑ5 19. ᲙᲓ4 Კ:e2 20. Ე:e2 Ფ:Ც3 21. Კ:Ც3 Კ:Ც3 22. ᲔᲓ6 ᲙᲑ4 23. ᲔᲓ7 ᲛᲤᲗ8 24. ᲔᲓ5 e6 25. ᲔᲓ7 b5 26. ᲛᲤᲗ2 ᲫᲪ6 27. ᲔᲪ7 ᲛᲓ4 28. ᲔᲔ4 ᲔᲓ8 29. Ე:a7 ᲙᲪ5 30. ᲔᲪ7 ᲙᲓ6 31. ᲔᲑ7 ᲙᲪ5 32. Ც3 Ფ:b3 33. ab ᲔᲓ3 34. Ე:b5 ᲙᲓ6 35. Ც4 f5 36. ᲔᲔ1 Კ:f4+ 37. ᲛᲤᲒ1 e5 38. Ც5 ᲔᲪ3 39. b4 e4 40. ᲔᲑ6 ᲔᲪ4 41. Ც6 ᲙᲓ2 42. ᲔᲔ2 Კ:b4 43. Ე:b4 Ე:b4 44. ᲔᲪ2 ᲔᲑ8 45. ᲛᲤ2 ᲛᲤᲔ7 46. ᲛᲤᲔ3 ᲛᲤᲓ6. ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐᲛ ᲩᲐᲬᲔᲠᲐ 47-Ე ᲡᲕᲚᲐ.

გადადებული პოზიცია დეტალურად იქნა შესწავლილი, რის შედეგადაც არ გამართლდა ბევრი სპეციალისტის აზრი თითქოს ლევიტინას პოზიცია წაგებული იყო. მატერიალური დანაკლისის მიუხედავად, როგორც ეს ეტლების ენდშპილისათვის არის დამახასიათებელი, თეთრებს ყაიმის მიღწევის შესაძლებლობა აღმოაჩნდათ. მათ შეეძლოთ შაგი პაიკების დასუსტება, ისე რომ ზედმეტი პაიკი ალექსანდრიას არაფერს აძლევდა.

შეხვედრის განახლებისას ლევიტინამ ზუსტად ითამაშა. სამ-სამი პაიკის გაცვლის შემდეგ თეთრებმა 62-ე სვლაზე ყაიმს მიაღწიეს.

აი როგორ დასრულდა ეს პარტია:

47. ᲛᲤᲗ4 ᲔᲪ8 48. g4 Ე:ᲪᲒ 49. ᲔᲐ2 ᲤᲒ 50. hg ᲔᲪ4 51. ᲔᲗ2 ᲪᲔ+ 52. ᲛᲤ:ᲪᲔ ᲛᲔᲗ5 53. Ე:h7 ᲪᲔ+ 54. ᲛᲤᲗ2 ᲛᲤᲗ4 55. ᲔᲐ7 ᲛᲤ:g4 56. ᲔᲐ1 g5 57. ᲛᲤᲒ2 ᲔᲪ2+ 58. ᲛᲤᲒ1 ᲪᲔ3 59. ᲛᲤᲒ2 ᲔᲓ3 60. ᲛᲤᲗ2 ᲔᲔ3 61. ᲛᲤᲒ2 ᲛᲤᲗ4 62. ᲔᲐ2 და მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, 12 პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 6:6. დებულების თანახმად ბრძოლა გაგრძელდება პირველ გამარჯვებამდე.

გაიმართა დამატებითი პარტიების წილისყრა. პირველ დამატებითს პარტიაში, რომელიც დღეს გაიმართება, თეთრებით ითამაშებს ნინა ალექსანდრია.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ᲰᲐᲣᲚ ᲙᲐᲠᲔᲡᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ჭაღრაკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი — 59 წლის ტალინელი ეროსმაისტერი პაულ კერესი კვლავ გამოჩნდა საჭადრაკო მაგიდასთან. იგი მონაწილეობს ესტონეთის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში — „ტალინი-75“.

ვეტერანმა მოჭადრაკემ ჩინებულად აიღო სტარტი — მას 5 შესაძლებლიდან 5 ქულა ჰქონდა.

მეექვსე ტურში პ. კერესი ყაიმზე შეუთანხმდა ჩეხოსლოვაკიელ გროსმაისტერს ვ. პორტს, მეშვიდე ტურში კი თავის სასარგებლოდ გადადო პარტია ისლანდიელ გროსმაისტერ ფ. ოლაფსონთან.

ამრიგად, გათამაშების ლიდერს პ. კერესს შვიდი ტურის შემდეგ 5,5(1) ქულა აქვს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის სტადიონებზე დაიწყო ქართული ფეხბურთის შესანიშნავი ვეტერანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ანდრო ყორდანიას ხელმძღვანელობით თასის პირველი გათამაშება. აი პირველი ტურის შედეგები: „დურუჯი“ (ყვარელი) — „შუქურა“ (ქობულეთი) — 1:0; „სალხინო“ (ვეგეტკორი) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) — 3:1; „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „გიგანტი“ (ლაითური) — 1:3; „სულორი“ (ვანი) — „კოლხეთი“ (ხობი) — 2:0.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐ. ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის რიგის ტურში მოულოდნელი იყო ფრუნზეს „სტროიტელის“ გამარჯვება ტაშკენტის სკიფ-თან — 70:40. კვლავ წარმატებით ითამაშეს სვერდლოვსკის „ურალმაშმა“, მოსკოვის, მოსკოვის ოლქისა და ლენინგრადის „სპარტაკმა“, რიგის „ტტტ-მ“ და მოსკოვის „დინამომ“.

ᲠᲘᲒᲘᲡ ᲠᲐᲜᲒᲘᲜᲒᲘ. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ ლიდერობს ცსკა-ს გუნდი — 10 ქულა. მეორე ადგილზეა რიგის „რადიოტექნიკი“ — 9 ქულა. ლენინგრადის „ავტომობილისტსა“ და მოსკოვის მეტუ-ს რვა-რვა ქულა აქვთ. მეორე წრის მატჩები დაიწყება 20 მარტს მოსკოვსა და რიგაში.

ᲛᲝᲚᲝᲕᲘᲡᲜᲘᲜᲐ. სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრების პირველი ჯგუფი გაემგზავრა აშშ-ში. ჩვენი მძლეოსნები 3 მარტს რიჩმონდში ზამთრის ტრადიციულ მატჩში შეხვდებიან მასპინძლებს. ჩვენს ნაკრებში არიან ოლიმპიური ჩემპიონები ლ. ბრაგინა და ფ. მელნიკი, ევროპის ჩემპიონი ხუთჯიდში ნ. ტკაჩენკო, ქვეყნის ჩემპიონი ათჭიდში რ. ზიგერტი, უძლიერესი მხტომელები ვ. გავრილოვი, ს. ბუდალოვი და სხვები. ამ დღეებში ოკვანეს გაემგზავრება საბჭოთა ნაკრების მეორე ჯგუფი.

ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ. მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ვ. პახომოვი (მოსკოვი), ვ. კოროშუნი (ხაბაროვსკი), ვ. ვასილიევი (როსტოვი), ვ. მოუეიკოვი (ალმა-ათა) და ე. სოკოლოვი (ხაბაროვსკი). გუნდური პირველობა მოიპოვეს ხაბაროვსკელებმა, მეორე ადგილზე არიან მინსკელები, მესამეზე — ალმაათელები.

ᲪᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘ. ინსბრუკში დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო წინასაოლიმპიადო შეჯიბრება. საბჭოთა სპორტსმენებმა სამი დღის განმავლობაში მოიპოვეს 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲒᲘᲓᲐᲜ

„ᲯᲝᲙᲝᲜᲓᲐ“ ᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲓᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲛᲐ, რომ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲒᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲜᲗᲘᲡᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲗᲘᲡᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲜᲗᲘᲡᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲜᲗᲘᲡᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲐ.

ᲩᲐᲜᲬᲔᲠᲘᲡ ᲤᲘᲠᲐ 18 წამს გრძელდება და ამ სიტყვებით იწყება: „მე მქვია ელისაბედი. მე ᲛᲚᲐ ვარ, ვისაც მონა ლიზას უწოდებენ“.

იწყება რა ამას, გაზეთი „ფრანს სუარი“ დასძენს, რომ იაპონელ მეცნიერებს განზრახული აქვთ ჩანაწერის ერთი პირი გაგზავნონ საფრანგეთს.

ᲛᲔᲮᲘᲙᲝ ᲓᲐᲑᲚᲐ ᲘᲬᲔᲕᲡ

ᲕᲔᲥᲡᲘᲙᲝᲨᲘ დედაქალაქი თანდათანობით იძირება მიწაში. ქალაქის ხელისუფლებმა გამოიანგარიშეს, რომ საშუალოდ წელიწადში ქალაქი 15 სანტიმეტრით იწევს დაბლა.

1925 წლიდან ქალაქში თითქმის შვიდი მეტრით დაიწია. როგორც დასავლეთ გერმანიის გაზეთი „დეველტი“ იუწყება, მეზიოს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა: „თუ უახლოესი 50 წლის განმავლობაში არ შეეჩერებთ „ჩაძირვა“, ქალაქი დაიღუპება“.

ᲐᲕᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲐ ᲒᲕᲔᲚᲘ

ᲨᲣᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲛᲐ გველმა, რომელიც შემოვიდა ელექტრომავთულებს, გამოიწვია მოკლე ჩართვა ელექტროქსელში ქალაქ სიძოუკას (იაპონია) მახლობლად, იმ დღეებში ამ რაიონში მაგარი ყინვები დაიჭირა და როგორც ჩანს, ცივისისხლიანი მცურავი მიზიდა სითბომ, რომელსაც გამოჰყოფდა ტრანსფორმატორი.

ელექტროენერგიის შეწყვეტამ ნახევარი საათით შეაჩერა მოძრაობა რკინიგზის მაგისტრალზე, რომელიც ერომანეთთან აკავშირებს ტოკიოს და ოსაკას. ამის შედეგად დანიშნულების ადგილზე მისვლა დაგვიანა თხუთმეტმა ექსპრესმა. იაპონიის რკინიგზების სამმართველო იძულებული გახდა მგზავრებისთვის კომპენსაციის სახით გადაიხადა 4,8 მილიონი იენი. („სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“).

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 10 კილოგრამს იწონიდა ქარიყლაპია, რომელიც მდინარე ამურზე დაიჭირა ხაბაროვსკის მხარის სოფელ ნაიხინის კულტურის სახლის თანამშრომელმა ნადია პაშკოვამ.

ᲢᲠᲔᲡᲢᲘ „საქჰიდროენერგომშენი“ და ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ტრესტის მმართველის მოადგილე, მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსი, სკკპ წევრი 1945 წლიდან, სპპაგაო ნიშნის ორდენის კავალერი

ᲒᲘᲖᲘ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲙᲘᲡᲘᲜᲯᲔᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 26 თებერვალი. (საკდესი). სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა, რომელიც გუშინ გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე, განაცხადა, რომ პროგრესი პოლიტიკურ მოლაპარაკებაში და მოლაპარაკებაში სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, რომელიც ახლა მიმდინარეობს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ისეთია, როგორც მოსალოდნელი იყო. მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, აღნიშნა ჰ. კისინჯერმა, ნორმალურად მიმდინარეობს.

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ სიძნელეები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიურ ურთიერთობაში, რომლებიც, როგორც ცნობილია, წარმოიშვა იმის შედეგად, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო დისკრიმინაციული კანონი ვაჭრობის შესახებ, გავლენას ახდენს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ურთიერთობაზე.

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის უსწრაფესად დამთავრებას.

პაკისტანისათვის იარაღის მიწოდების ემბარგოს მოხსნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ვაშინგტონში პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ზ. ა. ბჰუტოს ვიზიტის შემდეგ.

ინდოეთის ვაშინგტონელმა ელჩმა ტ. კაულმა ამერიკის მთავრობის ამ აქციასთან დაკავშირებით განაცხადა: ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ ემბარგოს მოხსნას არ. მოჰყვება გამალებული შეიარაღება და არ შეაფერხებს ნორმალიზაციის პროცესს, როგორც ამას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამტკიცებს.

ᲓᲔᲚᲘ, 25 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში შეშფოთებით აღიქვეს შეერთებული შტატების ვადაწყვეტილება განაახლოს პაკისტანისათვის იარაღის მიწოდება 10 წლის ემბარგოს შემდეგ.

ასეთ გადაწყვეტილებას, ხაზს უსვამს მთავრობის წრეებთან დაახლოებული გაზეთი „ნეშნელ ჰერალდი“, შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე და მთლიანად აზიაში მდგომარეობის განვითარებისათვის.

ᲥᲕᲘᲡ ᲥᲣᲜᲓᲚᲔᲑᲨᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ Კ. ᲡᲘᲚᲙᲕᲣᲓᲘ

ᲐᲛᲐᲡ წინათ ოკლაჰომის შტატის (აშშ) საგზაო პოლიციამ გზატკეცილზე აღმოაჩინა ავტოძარქასა, ოთხქერმიც ქალის გვამი იდო. ეს იყო 28 წლის კარენ სილკვუდი. იგი ლაბორატორიულ უშაობდა კომპანია „კერ-მაკგის“ კუთვნილ ატომურ ელექტროსადგურში. პოლიციამ უმალვე გააფრთხილა ოქმი, თითქოს ასალგაზრდა ქალს საჭესთან ჩასძინებოდა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, იმ საღამოს კარენ სილკვუდი ჟურნალისტებთან და პროფკავშირის წარმომადგენლებთან შესახვედრად ემზადებოდა, რათა მოეთხრო მათთვის, თუ როგორ დამდუშველად მოქმედებს მომუშავეთა ჯანმრთელობაზე ელექტროსადგურში არსებული შრომის პირობები.

ნაგთობის, ქიმიური და ატომური მრეწველობის მუშათა გაერთიანებულმა პროფკავშირმა ეჭვი შეიტანა პოლიციის ბიერ წარდგენილ მოხაცემებში და გადაწყვიტა თვითონ დაეწყო გამძიებება.

და არცთუ ტყუილუბრალოდ!

პროფკავშირის ბიერ გამოქვეყნებულ ცხობაში ნათქვამია, რომ ექსპერტიზამ გამოარკვია კარენ სილკვუდის დაღუპვის ხამდვილი მიზეზი: ძის მანქანაა განგებ მოუწყეს საგზაო ავარია. გარდა ამისა, პროფკავშირმა, რომელიც ეყრდნობა ექსპერტიზის მონაცემებს ლამბრანტი ქალის ორგანიზმში პლუტონის კვალის აღმოჩენის შესახებ, დაასკვნა, რომ მის დაღუპამდე რამდენიმე ხნით ადრე შეეცადნენ კარენ სილკვუდის რადიოაქტიური ნივთიერებით ოწამვლას.

სილკვუდის ხაცნობები ყვებიან, რომ ხას უხასეს საბუთები, რომლებიც მოწმობენ საჯარმოს ადმინისტრაციის მიერ უშიშროების წესების დარღვევის ფაქტებს. ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ ეს საბუთები უკვალოდ გაქრა.

დადგენილია აგრეთვე, რომ კარენ სილკვუდი პროფკავშირული აქტივისტი იყო და ეს ვიღაც-ვიღაცეებს, ეტყობა, არ ძოსწოხდა.

თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ეხერგიის კომისია ამტკიცებს, რომ კომპახია „კერ-მაკგი“ თითქოს იცავდეს დადგენილ ძრომის უსაფრთხოების წესებს, და რომ მუშა-მოხამსახურეთა შორის არ არის დაავადების არც ერთი შემთხვევა, მაგრამ ფაქტები სრულიად საწინააღმდეგო გარემოებაზე მიუთითებენ. პროფკავშირია ცნობით, საწარძოს არსებობის მოკლე ხნის მანძილზე აღრიცხულია პლუტონით დასხივების 73 შემთხვევა.

პროფესიული დაავადებები, ტრავმატიზმი, ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლა ტიპიური მოვლენაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასეულ ათასობით ამერიკელი „ჩუმი მკვლელების“ — მავნე ქიმიკატების, მხამიანი მტვრის და ორთქლის—მსხვერპლი გახდა. თვით „თეთრი წიგნის“ მონაცემებითაც კი, რომელიც ამერიკის საათავრობო უწყებების მიერ არის მომზადებული, ქვეყნის საწარმოებში ყოველწლიურად იღუპება ათასობით მუშა, ასი ათასი სახიჩრდება, ორ მილიონზე მეტი მიღებული ტრავმის გამო დროებით კარგავს შრომისუნარიანობას.

ეს მხოლოდ სინამდვილის ნახევარია, აცხადებს პროფკავშირი. ფაქტიურად ამ მონაცემებს აღძენენ მეწარმეები, რომლებიც ცდილობენ დფარონ ან გააყალბონ ფაქტები.

ბევრნი კარენ სილკვუდის საიდუმლოებით მოცულ სიკვდილს კომპანია „კერ-მაკგის“ საქმოსანთა სწორედ ამ მისწრაფებას უკავშირებენ.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲰᲔᲨᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ

„ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ“ თეატრის“ სავიზიტო ბარათია ბევრს დედაქალაქს ეწვია. პანევეჟისის თეატრის მაღალნიჭიერი კოლექტივი ამ თეატრის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის იოზას მილტინისის მეთაურობით.

მილტინისი ცნობილი ფრანგი რეჟისორისა და თეატრალური პედაგოგის შარლ დიულენის მოსწავლე გახლავთ. ეს ის დიულენია, რომელმაც ვასო ყუშიტაშვილთან ერთად „ატელიეს“ თეატრი დააარსა და საუფველი ჩაუყარა ახალი მიმდინარეობის მაუწყებელი თეატრალური სტუდიის არსებობას.

ჩვენ ვიცნობთ ვ. ყუშიტაშვილის შემოქმედებას და გარკვეული წარმოდგენა გვაქვს პანევეჟისის გამხმაურებულ თეატრზეც. მათ ანათესავებთ ფსიქოლოგიური რეალიზმის ჭეშმარიტი ხელოვნებაᲒ, რომელიც კ. სტანისლავსკის ფუნდამენტური სათეატრო მოძღვრებით არის შთაგონებული.

ეს ერთხელ კიდევ ცხადყო ამ თეატრის ბოლოდროინდელმა ნამუშევარმა — ა. სტრინდბერგის „სიკვდილის როკვამ“, რომელიც შევსებული და გამდიდრებული ყველა იმ გამოცდილებით, რაც თანამედროვე თეატრმა შეიძინა ფსიქოლოგიური რეალიზმის რთულ გზაზე.

ჭეშმარიტი ხელოვნება მუდამ ახალ აღმოჩენათა სიხარულს განგვაცდევინებს. ასე იყო ახლაც, როდესაც რუსთაველის თეატრის სცენაზე პანევეჟისელთა უზადო თეატრალურ ნამუშევარს შევაქებ�დით. წარმოდგენამ ისიც ცხადყო, თუ რაოდენ მოგვაკმაყოფილა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამიანის სულის ლაბირინთებში თეატრის მოგზაურობა.

ამ მხრივ ა. სტრინდბერგი მეტად ხელსაყვანიან მასალას იძლევა, თეატრს კი ის ტრაგიკული განცდის სიმაღლემდე აპყავს. მარტდ დარჩენილი, ეულად შთენილი სულის ძახილი მთელ სამყაროს სწვდება, მაგრამ გარე სამყარო სმენადასმული და უტყვია. ოჯახიც, ეს ურთულესი და უძველესი ინსტიტუტი უბედურების წყაროდ ქცეულა. ასეთია ბურჟუაზიული ყოფის მიკროსამყარო ერთი ოჯახის მაგალითზე. ეს სამყარო შემაძრწუნებელი და შემზარავია.

სპექტაკლში ჩვენ ვერ ვნახავთ ვერცერთ დეტალს, უბრალო რეალიკასაც კი, რომელსაც თავისი მდიდარი მეორე პლანი და ნაგულისხმევი ქვეტექსტი არ გააჩნდეს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო — სპექტაკლი ხომ ქვეცნობიერ სამყაროს ეძღვნება, რომელიც აუჯანყდა ადამიანს მისი დათრგუნვის ანდა არად ჩაგდების გამო.

რეჟისორ ი. მილტინისის და მსახიობთა ნამუშევარი „ერთუცნობიანი“ არ გახლავთ, რომ მისი ამოკითხვა ერთობ გაგვიიოლდეს. არც სიმბოლიკაა ამ სპექტაკლში იმთავითვე მისახვედრი. ყველაფერი აზრს აცხოველებს, არ გულისხმობს ინერტულ, ინდიფერენტულ დამოკიდებულებას.

ურთულესი ამოცანების წინაშე დგას ამ სპექტაკლის სამივე მონაწილე მსახიობი. ყველგან იგრძნობა საშემსრულებლო კულტურა და საგანგებოდ გაწაფული მსახიობი. რასაც პანევეჟისელთა სპექტაკლში ვხედავთ საშემსრულებლო ხელოვნების თვალსაზრისით, ვერ ვიტყვით, რომ არაჩვეულებრივი და განუმეორებელია. თუმც, ჩვენ არც ისე განებივრებული ვართ ღრმა ფსიქოლოგიური (რაც აშკარა და უდავოა) სცენური ქმნილებებით, რომ ჩვენი პატივისცემა და მადლიერება არ გამოვხატოთ სპექტაკლის შემქმნელთა მიმართ და იმათ წინაშეც, ვინც „მეგობრობის თეატრის“ მეშვეობით მსგავს სიურპრიზებს უმზადებს ქართველ მაყურებელს.

ᲐᲚ. ᲗᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ალისა — ლიტვის სსრ დამსახურებული არტისტი დ. მელნიკაიტე და ედგარი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი დ. ბანიონისი.

ს. კილაძის ფოტო.

„ᲜᲝᲒᲐᲗᲘ“ ᲜᲝᲒᲐᲗᲐᲓ

„ᲜᲝᲒᲐᲗᲘ“ — ასე ჰქვია ჟურნალ „ცისკრის“ მომცრო ზომის დამატებას, რომლის პირველი ნომერი ესეს არის გამოვიდა.

„ეხლა, როცა ცისკრის „ნობათი“ დაიბადა, — ახალგაზრდობის ახალი ჟურნალი, — მე მახარებს იგი, მახარებს, რადგან ვიცი, რომ „ცისკრის“ ეს დამატება ხელს შეუწყობს გამოავლინოს, გაზარდოს ისეთი მწერალი და მოღვაწე, რომელსაც „ერის წყლული“ თავის წყლულად აჩნდეს“... — ასე მიესალმება და გზას ულოცავს „ნობათის“ პირველ ნომერს ჩვენი ახალგაზ